



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

მერი ნებიერიძე

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი სს “თელიანი
ველი და შვილობილი კომპანიების“ მაგალითზე

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი - თეა მუნჯიშვილი

ოსუ, ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2019

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი ეთმობა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზს. საწარმოს ფინანსური მდგომარეობა - ეს არის მისი შესაძლებლობა, დააფინანსოს თავისი საქმიანობა. კომპანიამ თავისი ფინანსური მდგომარეობით უნდა უზრუნველყოს, ნორმალური ფუნქციონირება, ფულადი სახსრების მიზანმიმართულად დაბანდება და ეფექტურად გამოყენება, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ფინანსური ურთიერთობა, ხელფასების გაცემა და ფინანსური მდგრადობა. ამიტომ კომპანიისათვის მნიშვნელოვანი მიზანია შეინარჩუნოს ფინანსური სტაბილურობა.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზი ჩატარებულა კონკრეტული კომპანიის სს „თელიანი ველი და შვილობილი კომპანიების“ მაგალითზე. ნაშრომში განხილულია ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები, მისი არსი და მნიშვნელობა ფინანსური ანალიზის პროცესში. შემდეგი ქვეთავები ეთმობა საწარმოს მოთხოვნებისა და ვალდებულებების ანალიზს და მიღებული სიდიდეებიდან გამომდინარე გამოტანილია შესაბამისი დასკვნები საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მომგებიანობის შესახებ.

ანალიზის პროცესი წარმოდგენილია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კუთხითაც და ეყრდნობა რამდენიმე ცნობილ მოდელს, როგორებიცაა ალტმანის მოდელი, დეპილიანის მოდელი, დუპონის მოდელი, ჩესერისა და სპრინგეტის მოდელები. აღნიშნული მოდელების ანალიზის შემდეგ გაკეთებულია დასკვნები საწარმოს გაკოტრების შესახებ და შემუშავებულია რეკომენდაციები.

Analysis of the financial position of the company, on the example of JSC “Teliani Valley and its subsidiaries”

Meri nebieridze

Annotation

This report deals with the analysis of the financial situation of an enterprise. The financial position of the company is its ability to finance its activities. The company in its financial position should ensure the normal functioning, investment of money funds expeditiously and use efficiently, carry out financial relations with legal entities and individuals, pay salaries and ensure financial stability. Therefore, for companies, an important goal is to maintain financial stability.

The analysis of the financial situation is carried out on the example of a specific company JSC “Teliani Veli and its subsidiaries”. The first chapter initially considered the components of financial calculation, its meaning and meaning in the process of financial analysis. The following sub-chapters deal with the requirements of the company and the analysis of duties and based on the resulting size, the relevant conclusions about the financial regulations and the benefits of the company.

The analysis process is presented both from a theoretical and practical point of view and concerns several familiar models, such as the Altman model, the Depilani model, the Dupon model, the Chester and Springhead models. After analyzing these models, conclusions were made about the bankruptcy of the enterprise and recommendations were developed.

შინაარსი

ანოტაცია

Annotation

შესავალი.....	5
თავი 1. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი	
1.1 საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ელემენტები, არსი და მნიშვნელობა.....	9
1.2 საწარმოს მოთხოვნებისა და ვალდებულებების ანალიზი.....	17
1.3 საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის ანალიზი.....	36
თავი 2. სს „თელიანი ველი და შვილობილი კომპანიების“ გაკოტრების მეთოდებისა და მოდელების ანალიზი	
2.1 საწარმოს რენტაბელობის ანალიზი.....	48
2.2 საწარმოს სტაბილურობის ანალიზი.....	52
2.3 საწარმოს გაკოტრების ანალიზი.....	58
დასკვნა.....	71
გამოყენებული ლიტერატურა.....	77

შესავალი

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება და გაკოტრების თავიდან აცილება საწარმოს მენეჯმენტის უმთავრესი ამოცანაა. საწარმოს ფინანსური მდგომარეობით დაინტერესებულ პირთა ნუსხა არც თუ მოკლეა. ინვესტორები, კრედიტორები, საზოგადოება, საწარმოს პერსონალი, სახელმწიფო უწყებები და საწარმოს ფინანსური მენეჯმენტი, დაინტერესებულნი არიან საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებით. მათი მომავალი ურთიერთობა საწარმოსთან, მის ფინანსურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ამდენად საწარმოს მიზანია თავიდან აიცილოს გაკოტრება და შეინარჩუნოს სტაბილური ურთიერთობა არამხოლოდ პარტნიორებთან, არამედ საწარმოს საქმიანობით დაინტერესებულ პირებთან. რაციონალური და ეფექტური გადაწყვეტილებების მისაღებად კი საწარმოს მენეჯმენტს სჭირდება საწარმოს მომგებიანობის და გაკოტრების მაჩვენებლების შესწავლა და ანალიზი.

ნაშრომის მიზანი

ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და გაკოტრების რისკების ანალიზის ანალიზური მნიშვნელობა ფინანსური ანგარიშგების ანალიზის საფუძველზე. ნაშრომში მოყვანილი იქნება ის თეორიული ასპექტები და მეთოდები, რასაც ემყარება საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის შეფასება და აგებულ იქნება გაკოტრებადობის მოდელები. პრაქტიკული მხარე განხილულ იქნება სააქციო საზოგადოება „თელიანი ველი და შვილობილი კომპანიების „ მაგალითზე.

სამაგისტრო ნაშრომის მთავარი ამოცანებია:

1. ფინანსური ანალიზის არსის ნათლად წარმოჩენა.
2. ფინანსური ანალიზის მეთოდების და მაჩვენებლების აღწერა.
3. ფინანსური სტაბილურობის მნიშვნელობა გამოკვეთა.
4. მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი, დამუშავება და შემდეგად ნაშრომში ამომწურავი ინფორმაციის შეტანა.
5. კონკრეტული საწარმოს ამორჩევა ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მიზნით.

6. საწარმოს მაგალითზე კოეფიციენტების და მაჩვენებლების გამოანგარიშება და დასკვნების გამოტანა.

დასმული ამოცანები

კვლევის პროცესში დაისვა შემდეგი ამოცანები:

- 1.საკვლევი ობიექტის ამორჩევა ანალიზის ჩატარების მიზნით;
2. ანალიზთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება და გაცნობა;
3. ანალიზისათვის საჭირო შესაბამისი მეთოდების შერჩევა.

კვლევის ობიექტი

კვლევის ობიექტად შეირჩა კომპანია, რომელიც შეესაბამება დასმულ ამოცანებს და რომლის მაგალითზე განვიხილავ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და გაკოტრების თავიდან აცილების გზებს. სს“თელიანი ველი“ დაარსდა 1997 წელს. იგი საქართველოს ალკოჰოლური სასმელების ბაზარზე წარმოდგენილ კომპანიებს შორის ერთ-ერთი ლიდერია. მასთან ერთად, რომ კომპანია მოწინავეა ადგილობრივ ბაზარზე, იგი ასევე ექსპორტს ახორციელებს 25-მდე ქვეყანაში. 2004 წელს „თელიანმა ველმა“ სტრატეგიული ურთიერთობა დაამყარა ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკთან. ამ უკანასკნელმა „თელიანი ველის“ აქციები შეიძინა.

დღესდღეობით „თელიანი ველი“ წარმოადგენს ჰოლდინგურ კომპანიას. მისი ჩვეულებრივი აქციები განთავსებულია საქართველოს საფონდო ბირჟაზე. კომპანიას ხუთი შვილობილი ყავს. ჯგუფის ძირითად საქმიანობას ღვინის, ლუდის, ლიმონათისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების წარმოება და დისტრიბუცია, ასევე იმპორტული ლუდის და სხვა სასმელების დისტრიბუცია წარმოადგენს. ჯგუფში შემავალი კომპანიებია:

შ.პ.ს ‘თელიანი თრეიდინგი საქართველო’;

შ.პ.ს „თელიანი თრეიდინგი უკრაინა“;

შ.პ.ს „გლობალ ბიერ ჯორჯია“;

შ.პ.ს „ლე კავკასი“;

შ.პ.ს „კუპა“.

შ.პ.ს „გლობალ ბიერ ჯორჯია“ Haineken-ის ოფიციალური პარტნიორია და ადგილობრივად აწარმოებს ისეთ ბრენდებს, როგორცაა „აისი“, „არაგველი“, „შავი ლომი“, „ყაზბეგი“, „კაიაკი“, ასევე Haineken-ის ლიცენზირებულ ბრენდს „კრუმოვიცე“.

გამომდინარე იქედან რომ კომპანია უკვე წლებია წარმატებით ეწევა ბიზნეს საქმიანობას ვთვლი, რომ საინტერესო იქნება დასმული ამოცანების სწორედ ამ კონკრეტული კომპანიის მაგალითზე გადაჭრა.

კვლევის მეთოდოლოგია

დასახული მიზნებიდან გამომდინარე შეირჩა კვლევის სათანადო მეთოდოლოგია. ფინანსური ანალიზისათვის გამოყენებული იქნება სხვადასხვა კოეფიციენტები, ასევე ჩატარდება ფინანსური ანგარიშგების იმ კომპონენტები სტრუქტურული და დინამიკური ანალიზი რომელიც საჭიროა დასმული ამოცანების გადასაჭრელად. აიგება საწარმოს გაკოტრებადობის ანალიზის ალტმანის, დეპილიანის, დუპონისა და ჩოსერის მოდელები.

კვლევის შედეგი

კვლევის შედეგი არის, განხილული კოეფიციენტების გამოყენებით დადებითი და უარყოფითი ტენდენციების გამოვლენა და მათი გადაჭრის მიზნით რეკომენდაციების გაწევა.

კვლევის სიახლე

კვლევის სიახლეს წარმოადგენს ის, რომ ნაშრომში ჩატარებულია სს „თელიანი ველი და შვილობილი კომპანიების“ 2014-2015 და 2016-2017 საანგარიშგებო პერიოდების ფინანსური მდგომარეობის ანალიზი სხვადასხვა გაკოტრების მოდელების მეშვეობით. მრავლადაა გამოყენებული ცხრილები და დიაგრამები იმისათვის, რომ კონკრეტული გამოთვლილი მაჩვენებლები უფრო თვალსაჩინო ყოფილიყო მკითხველისათვის.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსები

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის ინფორმაციული უზრუნველყოფის წყაროს წარმოადგენს სს „თელიანი ველი და შვილობილი კომპანიებ“-ის ფინანსური ანგარიშგება. ნაშრომის თეორიული საფუძველია ქართველი და უცხოური მკვლევარების ნაშრომები ასევე, სამეცნიერო მასალები და ინტერნეტ წყაროები.

თავი 1. ფინანსური მდგომარეობის ანალიზი

1.1 საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ელემენტები, არსი და მნიშვნელობა.

ფინანსური ანგარიშგება საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების სტრუქტურულად ჩამოყალიბებულ სურათს წარმოადგენს.¹

ფინანსურ ანგარიშგება შეიცავს ძირითად ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზისათვის. მასზე დაყრდნობით შესაძლებელია საწარმოს რესურსების შეფასება და ანალიზი, ხარჯების, რისკებისა და შემოსავლების პროგნოზირება. მისი მიზანია საწარმოს რესურსების, მათი ფორმირების წყაროების, ფულადი ნაკადების მოძრაობის, ფინანსური მდგომარეობისა და მისი ცვლილების შესახებ ისეთი ინფორმაცია მიაწოდოს მომხმარებელს, რომელიც მას გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება. მომხმარებლების გარკვეულ კატეგორიას უფლება აქვს მოითხოვოს და მიიღოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის გარდა სხვა დამატებითი ინფორმაცია, მაგრამ მომხმარებელთა უმრავლესობა მაინც ძირითად ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ინფორმაციას ეყრდნობა და სწორედ ის წარმოადგენს ძირითად საინფორმაციო წყაროს. ფინანსური ანგარიშგებაში გასული პერიოდის ფინანსური შედეგებია მოცემული, ანუ ეს არის ინფორმაცია კონკრეტული საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის, იგი შეიძლება არ იყოს ამომწურავი მომხმარებლისათვის გადაწყვეტილების მისაღებად. ამას ემატება ისიც, რომ მომხმარებელს გადაწყვეტილების მისაღებად ფინანსურ ინფორმაციასთან ერთად არაფინანსური ინფორმაციაც ესაჭიროება.

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები არიან ძირითადი მომხმარებლები, რომელშიც იგულისხმებიან ინვესტორები, გამსესხებლები და სხვა კრედიტორები. დანარჩენი მომხმარებლები-საწარმოს მმართველები და სხვა.

¹ ნ.კვატაშიძე. ა.ხორავა. ზ.გოგრიჭიანი. ფინანსური ანგარიშგება. გამომცემლობა:“მერიდიანი“ თბილისი 2010. გვ.14.

მომხმარებელთა უმრავლესობას ფინანსური ანგარიშგებისადმი მსგავსი მოთხოვნები აქვთ. ინვესტორებს აინტერესებთ ინვესტირების იგივე დონე შეინარჩუნონ, დამატებით დააბანდონ , თუ გაყიდონ ინვესტირებული კაპიტალი, შეაფასონ რამდენად პასუხისმგებლობით ასრულებს ხელმძღვანელობა ნაკისრ ვალდებულებებს და საწარმოო საქმიანობას, რამდენად სანდო და სტაბილური იქნება საწარმოსთან მომავალი ურთიერთობები, რამდენად ორგანიზებულად მუშაობს მენეჯმენტი და ასე შემდეგ.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზი მნიშვნელოვან როლს ასრულებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საწარმოს აქტივების მფლობელები (არსებული და პოტენციური) – აქციონერები, დამფუძნებლები, ცდილობენ განსაზღვრონ საწარმოში საკუთარი კაპიტალის წილის ზრდის ან შემცირების მიზანშეწონილობა. ისინი დაინტერესებული არიან ჩადებული ინვესტიციიდან მიღებული შემოსავლებითა და მასთან დააკავშირებული რისკებით. სწორედ ფინანსურმა ანგარიშგებამ უნდა მიაწოდოს მათ და უკვე არსებულ ინვესტორებს ინფორმაცია იმის შესახებ, ღირს თუ არა ახალი ინვესტიციის განხორციელება, რამდენად რისკიანია კონკრეტული გადაწყვეტილება და მაღალრენტაბელური იქნება თუ არა ის.

კრედიტორები და საკრედიტო ორგანიზაციები დაინტერესებულნი არიან გაცემული სესხებისა და შესაბამისი სარგებლის დროული დაბრუნებით,

მსგავსი ინტერესები აქვთ აქციონერებსაც. მათ აინტერესებთ რამდენად შეძლებს საწარმო დივიდენდების გადახდას.

საწარმოში მომუშავე პერსონალის ინტერესებში შედის რომ საწარმო იყოს ფინანსურად ძლიერი, სტაბილური და მომგებიანი. რადგან უზრუნველყოს მათი შრომის დროულად ანაზღაურება და დასაქმების პერიოდის ხანგრძლივობა.

საკრედიტო ორგანიზაციები და სავაჭრო კრედიტორები დაინტერესებულნი არიან თავის დროზე შეძლებს თუ ვერა ფირმა მათთვის კუთვნილი თანხებისა და კრედიტით სარგებლობის პროცენტის გადახდას. თუ საწარმო ზარალიანია, შეიძლება საკრედიტო ორგანიზაციამ მას უარი უთხრას სესხზე ან სასესხო თანხის ოდენობა შეუმციროს.

თუკი საწარმო გამუდმებით შეუფერხებლად ახერხებს დავალიანებების დაფარვას და ამასთანავე არის მომგებიანი საწარმო, მაშინ მისი ფინანსური მდგომარეობა შეიძლება ჩაითვალოს სტაბილურად და უსაფრთხოდ.

ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია მნიშვნელოვანია მყიდველებისთვის განსაკუთრებით მაშინ როდესაც საწარმოსთან ხანგრძლივი ურთიერთობა აქვთ და მასზე არიან დამოკიდებულნი (მაგალითად როცა საწარმო არაა წარმოდგენილი კონკურენტუნარიან ბაზარზე ანუ მას გააჩნია მონოპოლია) ასეთ შემთხვევაში საწარმოს საქმიანობის შეწყვეტა მათთვის ზარალის მომტანი იქნება.

როგორც ვიცით ყველა საწარმოსა თუ კომპანიას საგადასახადო ვალდებულებები გააჩნია. საგადასახადო ვალდებულებების დასაკისრებლად კი საგადასახადო სამსახური ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციას იყენებს. როგორც მთავრობის, ისე სამთავრობო უწყებების ინტერესებშია საწარმოს საქმიანობის სტაბილურობა რესურსების მოცულობის განსაზღვრის, მათი გადანაწილების და საწარმოს საქმიანობაზე რეგულაციების სათანადო ნორმების დაწესებისათვის.

ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია ასევე მნიშვნელოვანია აუდიტორული ფირმებისათვის, ფასიანი ქაღალდების ბირჟისათვის, საფინანსო და სტატისტიკური ორგანიზაციებისათვის, პროფკავშირების, პრესისა და ზოგადად საზოგადოებისათვის. საზოგადოებას ორი ძირითადი ინტერესი აქვს. ეკონომიკური თვალსაზრისით მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და სოციალური თვალსაზრისით ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება. საწარმოები, რომლებსაც მყარი ფინანსური მდგომარეობა აქვთ, უფრო მეტ თანხებს გასცემენ გარემოზე მავნე ზეგავლენის თავიდან ასარიდებლად. ფინანსური ანგარიშგებით დაინტერესებულ მხარეთა სიმრავლისა და მასში ასახული ინფორმაციის სარგებლიანობის გამო იგი საჯაროა და მის წარდგენას არეგულირებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (ბასს1) - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“.

ფინანსური ანგარიშგება რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება:

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;

2. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება;
3. ფულადი ნაკადების ანგარიშგება, რომელიც შემდეგი სამი განყოფილებისაგან შედგება: ფულადი ნაკადები საოპერაციო, საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობიდან.
4. ანგარიშგება საკუთარი კაპიტალის ცვლილების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს შემდეგ ინფორმაციას:
 - I. საწარმოს საკუთარ კაპიტალში მომხდარი ნებისმიერი ცვლილების შესახებ, ან
 - II. საკუთარი კაპიტალის ცვლილების შესახებ, რომლებიც გამოწვეული არ არის მესაკუთრეთა მიერ კაპიტალთან დაკავშირებული სამეურნეო ოპერაციებისა და მათთვის კაპიტალის განაწილებასთან.
5. განმარტებითი შენიშვნები.

აგრეთვე შეიძლება ფინანსური ანგარიშგება შეიცავდეს სხვადასხვა ცხრილებს, დანართებს და სხვა თვალსაჩინოებებს რომელიც ემყარება ფინანსურ ანგარიშგებას.

სს“ თელიანი ველი და შვილობილი კომპანიები“ - ფინანსური მდგომარეობის
ანგარიშგება

ცხრილი 1.1.1

ათას ლარებში	2014	2015	2016	2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშვალელები	9690	9973	68134	102168
არამატერიალური აქტივები	102	105	480	723
გადახდილი ავანსები			926	1658
ბიოლოგიური აქტივები	1201	1227		
გუდვილი	143	-		

გადავადებული საგადასახადო აქტივები	81	72	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	11217	11377	69540	104549
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8760	11807	8426	17122
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	8943	7898	6755	11900
მიმდინარე მოგების გადასახადი აქტივი	-	28		
მოგების წინასწარ გადახდილი გადასახადი			93	-
წინასწარი გადახდები	768	584	3800	2795
სხვა მიმდინარე აქტივები	1974	2064	29	7
ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენებაც შეზღუდულია			17034	4381
მოთხოვნები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ	1042	1265		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5316	2856	2399	17437
სულ მიმდინარე აქტივები	26803	26502	38536	53642
ჯამური აქტივები	38020	37879	108076	158191
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	771	771	2771	5200
დამატებითი შენატანები კაპიტალში	12958	12958	38846	78748
ძირითადი საშვალეების გადაფასების შედეგად მიღებული მეტობა	1849	1849		
უცხოური ვალუტის კონვერტაციის რეზერვი	244	(1526)	(1740)	(1782)
გაუნაწილებელი მოგება	3138	4905	2814	(11829)
კაპიტალი, განკუთვნილი მშობელი კომპანიის აქციონერებისთვის	18960	18957	42691	70337
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებისთვის	1	1	1	1

სულ კაპიტალი	18961	18958	42692	70338
გრძელვადიანი ვალდებულებები				
პროცენტური სესხები და გადასახდელი ანგარიშები	8588	9233	7611	61482
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	1123	1190	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	9711	10423	7611	61482
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	2610	2735	18116	14848
მოგების გადასახადის მიმდინარე გადასახდელები	696	892	642	-
საგად. დავალიანება მოგების გადასახადის გარდა			-	1178
სახელმწიფო გრანტი	155	4		
პროცენტური სესხები და გადასახდელი ანგარიშები	3116	2358	38610	9795
მიღებული ავანსები			140	95
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	2771	2509	265	455
სულ მიმდინარე ვალდებულებები	9348	8498	57773	26371
სულ ვალდებულებები	19059	18921	65384	87853
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	38020	37879	108076	158191

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით. ამგვარ დაჯგუფებას ფინანსური ანგარიშგების ელემენტებს უწოდებენესენია: აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები და ხარჯები. აქედან პირველი სამი (აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი) წარმოდგენილია ბუღალტრულ ბალანსში, ხოლო შემოსავლები და ხარჯები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ქვემოთ მოცემულია სს „თელიანი ველი

და შვილობილი კომპანიების“ მოგება-ზარალის ანგარიშგება 2014-2015 და 2016-2017 საანგარიშგებო წლების მონაცემებით.

სს „თელიანი ველი და შვილობილი კომპანიები“ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ცხრილი 1.1.2

ათას ლარში	2014	2015	2016	2017
საქონლის რეალიზაცია	34953	30776	29793	54975
გაყიდული საქონის თვითღირებულება	(17776)	(14482)	(15774)	(34433)
საერთო მოგება	17177	16294	14019	20542
ბიოპროდუქციის სამართლიანი ღირებულების მოძრაობა			16	253
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	(8110)	(6720)	(7797)	(15724)
ადმინისტრაციული ხარჯები	(4377)	(4411)	(4325)	(7147)
სხვა საოპერაციო ხარჯები, წმინდა	(351)	(838)	(270)	(2557)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შედეგი	4339	4325	1643	(4633)
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	(910)	(1102)	(886)	(3316)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	189	100	99	169
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი	(153)	(867)	(1043)	(7024)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	11	59	-	558
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(52)	(4)	(64)	-
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე	3424	2511	(251)	(14246)

მოგების გადასახადის ხარჯი	(903)	(744)	41	-
წმინდა მოგება	2521	1767	(210)	(14246)
წმინდა და განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე	0.00003278	0.00002292	(0.0000011)	(0.000035)

აქტივები და ვალდებულებები თავის მხრივ შეიძლება დაჯგუფდეს, როგორც მიმდინარე და გრძელვადიანი, რაც კიდევ უფრო აადვილებს ფინანსური ანგარიშგებიდან ინფორმაციის მიღებას. ბასს1 -ის მიხედვით აქტივი ჩაითვლება მიმდინარე(მოკლევადიან) აქტივად თუ ის აკმაყოფილებს რომელიმე შემდეგ პირობას:

- ნავარაუდევია მისი რეალიზაცია ან აქტივი გამიზნულია გასაყიდად ან მოხმარებისთვის ჩვეულებრივი საწარმოო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- მოსალოდნელია მისი რეალიზაცია ბალანსის შედგენის თარიღიდან თორმეტი თვის განმავლობაში;
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან მისი ეკვივალენტები;
- ყველა სხვა აქრივი უნდა მიეკუთვნოს გრძელვადიანს.

აქტივების მსგავსად ვალდებულებების დაყოფილია გრძელვადიან და მოკლევადიან აქტივებად. ბასს1-ის თანახმად , საწარმომ ვალდებულებულება მოკლევადიან ვალდებულებად უნდა მიიჩნიოს თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საწარმოო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში;
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის უპირობო ვალდებულება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა სხვა ვალდებულება ითვლება გრძელვადიანად.

ბუღალტრული ბალანსის მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე აუცილებელია რომ ყველა საწარმოს ჰქონდეს მოწესრიგებული ბუღალტერია . ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნით წლიური ფინანსური ანგარიშგება გამოქვეყნებას ექვემდებარება. მის წარდგენას კი არეგულირებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 1.²

1.2 საწარმოს მოთხოვნებისა და ვალდებულებების ანალიზი

წმინდა მიმდინარე აქტივები, ეს არის სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის. სხვაგვარად მას საკუთარ საბრუნავ სახსრებსაც უწოდებენ. საწარმოს ხელმძღვანელობა განუწყვეტლივ იღებს გადაწყვეტილებებს, როგორც მოკლევადიანი აქტივების, ისე მოკლევადიანი ვალდებულებების რაოდენობისა და სტრუქტურის შესახებ საწარმოში. ანუ ახორციელებს მის მართვას, რათა შეამციროს საწარმოს გაკოტრების რისკი აქტივების ბრუნვადობის მაქსიმიზაციის ზრდით. რაც უფრო ჩქარა მოხდება ავანსირებული ღირებულების ბრუნვა, მით უფრო დროულად შეძლებს საწარმო ვალდებულებების დაფარვას. ამდენად, სამუშაო კაპიტალის მართვა არის როგორც მოკლევადიანი აქტივების, ისე მოკლევადიანი ვალდებულებების მართვა. „არსებობს პირდაპირი კავშირი საწარმოს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის ზრდასა და სამუშაო კაპიტალის მართვას შორის. სწორედ ამიტომ სამუშაო კაპიტალის მართვა ფინანსური საქმიანობის მმართველის სერიოზულ სფეროს წარმოადგენს.“³

ასევე მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ, თუ რამდენი დავაბანდოთ სამუშაო კაპიტალში და როგორ დავაფინანსოთ სამუშაო კაპიტალში

²ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 1_ „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. თბილისი 2009წ.

³ ი.ჭილაძე- ფინანსური ანალიზი. 2017 გვ.142

დაბანდება. როდესაც საწარმო აპირებს სამუშაო კაპიტალში მთლიან დაბანდებას იგი ორი ალტერნატივის წინაშე დგება. თუ საწარმო საკუთარ კაპიტალში მთლიან დაბანდებას მოახდენს მისი მიმდინარე აქტივები შემცირდება და ლიკვიდურობა დაეცემა. მეორე მხრივ, სამუშაო კაპიტალში დაბანდების გარეშე საწარმოს არც მარაგი ექნება და არც დებიტორული დავალიანება, რაც გაყიდვებს და აქედან გამომდინარე მოგებასაც შეამცირებს. ამიტომ აუცილებელია, რომ სანამ საწარმო გადაწყვეტს რამდენი დააბანდოს და როგორ მოახდინოს სამუშაო კაპიტალში დაბანდების დაფინანსება, ერთმანეთს შეადაროს გაწეული დანახარჯები და მოსალოდნელი სარგებელი.

საწარმომ საკუთარი პროდუქცია ან მომსახურება შეიძლება კრედიტით გაყიდოს. კრედიტით გაყიდვის დროს მოგება გაყიდვის მომენტში მთლიანად აღიარდება მიუხედავად იმისა, რომ ნაღდი ფული გარკვეული პერიოდის შემდეგ მიიღება. ამდენად კრედიტით გაყიდვები საწარმოს განკარგულებაში არსებულ ნაღდ ფულს ამცირებს. იგივე ეფექტი აქვს ძირითადი საშვალეების ნაღდ ფულზე შეძენას. ფულადი თანხები მომენტალურად მცირდება ძირითადი საშვალეების პირვანდელი ღირებულებით, ხოლო მოგებაზე ასახვა რამდენიმე წლის განმავლობაში ხდება დარიცხული ცვეთის სახით. ნაღდი ფულის შემცირების მიზეზი ასევე შეიძლება გახდეს გადაჭარბებული სავაჭრო ბრუნვა. რაც საწარმოს მიიყვანს იქამდე, რომ იგი ვეღარ შეძლებს კრედიტორული დავალიანების დაფარვას. ხშირად პრობლემა ექმნება ისეთ საწარმოს, რომელიც რეალურად მომგებიანია. მიზეზი კი ისაა, რომ მოცემულ მომენტში ვალდებულებების დასაფარავად საჭირო თანხები აღემატება მათ ხელთ არსებულ თანხებს. მეორე მხრივ, შეიძლება საწარმომ საბანკო ანგარიშზე არსებული თანხის მოცულობა გაზრდოს, მართალია ეს მეტყველებს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის განმტკიცებაზე, მაგრამ თანხა საწარმოს უნდა ჰქონდეს იმდენი, რომ იგი საკმარისი იყოს პირველი რიგის გადასახდელების დასაფარად დარჩენილი ნაწილი კი სარფიანად დააბანდოს. ხანგრძლივი ვადით ბანკის ანგარიშზე თანხის არსებობა შეიძლება იყოს საბრუნავი საშვალეების არასწორად გამოყენების მაჩვენებელი. ფულს უნდა მივცეთ

ბრუნვის საშვალეობა დამატებითი მოგების მისაღებად. მაგალითად მოვახდინოთ წარმოების გაფართოვება ან დაბანდება სხვა საწარმოს აქციებში.⁴

როგორც უკვე აღვნიშნე არანაკლებ მნიშვნელოვანია თუ როგორ დავაფინანსებთ მიმდინარე აქტივებს. მოკლევადიანი ოვერდრაფტებით, თუ გრძელვადიანი კრედიტებით. ორივე მათგანს აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომლის გათვალისწინებაც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ტრადიციული მიდგომით ითვლება, რომ უმჯობესია მიმდინარე აქტივები დაფინანსდეს მოკლევადიანი, ძირითადი საშვალეობები კი გრძელვადიანი წყაროებით. თანამედროვე პერიოდში მისაღები გახდა მიმდინარე აქტივების დაფინანსება გრძელვადიანი სესხებითაც.

რაც შეეხება გრძელვადიან და მოკლევადიან დაფინანსებას, აღსანიშნავია რომ მოკლევადიანი დაფინანსება უფრო მოქნილია გრძელვადიანთან შედარებით. მოკლევადიანი დაფინანსების გამოყენების დროს შეიძლება გაკეთდეს ეკონომია გადასახდელ პროცენტზე, თუ მას დავაბრუნებთ როდესაც მისი გამოყენების საჭიროება აღარ იქნება. ამის საწინააღმდეგოდ გრძელვადიანი დაფინანსების შემთხვევაში ვალის ადრე დაფარვა ან შეუძლებელი იქნებოდა, ან გამოიწვევდა საწარმოსათვის ჯარიმის დაკისრებას. მოკლევადიანი დაფინანსების ერთ-ერთი სახესხვაობაა სავაჭრო კრედიტი. იგი ყველაზე იაფ დაფინანსებად ითვლება, რადგან სესხებისაგან განსხვავებით მასზე პროცენტის გადახდა არ ხდება. მოკლევადიანი სესხების საპროცენტო განაკვეთი უფრო დაბალია გრძელვადიანთან შედარებით, რადგან გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური მდგომარეობა შეიძლება მნიშვნელოვნად გაუარესდეს, რაც დამატებითი რისკის მატარებელია. ამიტომ რისკის კომპენსაციის მიზნით, გრძელვადიან სესხებზე უფრო მაღალი პროცენტია გადასახდელი. თუმცა ზოგჯერ საწინააღმდეგო ტენდენციაც შეინიშნება. რაც შეეხება მოკლევადიანი დაფინანსების უარყოფით მხარეებს, მოკლევადიანი კრედიტები შეიძლება საჭიროებდეს მუდმივად განახლებად მოლაპარაკებებს ხელშეკრულების განახლებისათვის. რაც თავისმხრივ უფრო მეტ დროსა და რესურსს მოითხოვს.


⁴ მ. ჯიქია. ფინანსური ანალიზი. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი 2011წ. გვ.85.

საწარმოს დებიტორულ დავალიანებებს, საწარმოს მოთხოვნებს უწოდებენ. დებიტორი ეწოდება მოცემული საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების ვალის მქონე (მოვალე) იურიდიულ ან ფიზიკურ პირს. ზოგადად მოთხოვნები არის კომპანიის დებიტორული დავალიანება, რომელიც წარმოექმნება კომპანიას სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებთან ურთიერთობისას. მოთხოვნები მიეკუთვნება კომპანიის აქტივებს, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მრავალი მიზეზის გამო. ეს შეიძლება იყოს პროდუქციის მიწოდება, სამუშაოს შესრულება, მომსახურების გაწევა, მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები, გაცემული სესხები და სხვა. მარტივად რომ ვთქვათ საწარმოს მოთხოვნების წარმოშობას განაპირობებს უნაღდო ანგარიშსწორება. როდესაც მოცემული საწარმო მეორე საწარმოს მიასესხებს ან მიყიდის რაიმე სახის აქტივს და სანაცვლოდ არ იღებს ექვივალენტურ ნაღდ ფულს. მოთხოვნები მიეკუთვნება არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს, (ბასს 39. მუხლი 9) რომელიც კოტირებული არ არის აქტიურ ბაზარზე. იგი არის ფულადი აქტივი.⁵

საწარმოს მოთხოვნები შეიძლება დავყოთ გრძელვადიან და მოკლევადიან მოთხოვნებად. გრძელვადიანი მოთხოვნები ერთ წელზე მეტი ხნის ვადაში დაბრუნდება საწარმოში ფულის სახით, მოკლევადიანი კი, ერთი წლის განმავლობაში. არსებობს შემდეგი სახის მოთხოვნები:

სქემა 1.2.1

⁵ ი.ჭილაძე-ფინანსური ანალიზი. თბილისი 2017წ. გვ.144.



ანალიზის დროს მოტოხოვნების სტრუქტურა ცალ-ცალკე შეისწავლება მოკლევადიანი და გრძელვადიანი ჯგუფების მიხედვით.

როდესაც საქონელს, მომსახურებას ან პროდუქციას შემდგომი გადახდის პირობით, ანუ კრედიტით გავცემთ სავაჭრო დებიტორული დავალიანებები წარმოიქმნება. კომპანიების უმრავლესობა ამ გზას ხშირად მიმართავს მყიდველთა სტიმულირებისა და მიმოქცევის პროცესის შენარჩუნების მიზნით. ამგვარად საწარმოები აძლევენ გარკვეულ დროს მყიდველებს ფულის გადასახდელად და შემდგომ ელოდებიან თანხის მიღებას. როგორც წესი შემდგომი გადახდის პირობით გაყიდვების დროს, მხარეთა შორის ფორმდება ხელშეკრულება, სადაც მითითებულია განაღდების ვადები, ფასდაკლების შეთავაზების პირობები და საჯარიმო გადასახდელების ოდენობა გადახდის დაგვიანებისათვის.

სხვადასხვა მიზეზების გამო პერიოდის განმავლობაში დაგროვილი მოტოხოვნები სრულად დაფარვას არ ექვემდებარება. ამიტომ ფინანსურ აღრიცხვაში მიღებულია ნაწილი მოტოხოვნების, როგორც საექვო მოტოხოვნებად აღიარება. აღნიშნული ნაწილი აიღება წინა პერიოდის გამოცდილებიდან. ბასს 18 „ამონაგები“-ის მიხედვით: „როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოღებული თანხა, ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების

კორექტირება“. არსებობს საექვო მოთხოვნების დათვლის ორი ხერხი:

- მოთხოვნის ნაშთის ხანგრძლივობის რანჟირების მეთოდი;
- პროცენტული გამოთვლის მეთოდი.(ნეტო რეალიზაციიდან, ნეტო კრედიტით რეალიზაციიდან ან წლის ბოლოს გაუნაღდებელი მოთხოვნების ნაშთიდან).

პრაქტიკაში მიღებულია პროცენტული მეთოდი ნეტო კრედიტით რეალიზაციიდან.

საწარმომ უნდა განახორციელოს სავაჭრო-საკრედიტო პოლიტიკა უიმედო დავალიანებების თავიდან აცილების მიზნით. მყიდველის გადახდისუნარიანობის დადგენა შეიძლება რამდენიმე გზით:

- ინფორმაციები მყიდველი საწარმოს საქმიანი მდგომარეობის შესახებ;

პოტენციურმა კლიენტმა უნდა დაასახელოს რომელიმე ორი ომწოდებელი, რომელიც დაადასტურებს მის გადახდისუნარიანობას. თუმცა ფირმამ შეიძლება ის მომწოდებლები დაასახელოს, რომლებსაც დროულად უხდის.

- საბანკო რეკომენდაციები;

სავარაუდო კლიენტი, საქონლის მიმწოდებელ ფირმას აძლევს ნებართვას, რომ მისი გადახდისუნარიანობის შესახებ ინფორმაცია მოიპოვოს ბანკისგან.

- საკრედიტო ასოციაციები და საკრედიტო ინფორმაციის სააგენტოები;

მსგავსი ორგანიზაციები, გარკვეული თანხის სანაცვლოდ აფასებენ ფირმის გადახდისუნარიანობას და აწვდიან მომხმარებელს მონაცემებს რეგულარულად.

- შეტყობინებები სავაჭრო აგენტებისაგან;

სავაჭრო აგენტები უშვალოდ ხვდებიან პოტენციური კლიენტების წარმომადგენლებს და ამდენად მათი ფინანსური მდგომარეობის შესახებ გარკვეული წარმოდგენა გააჩნიათ.

- ინფორმაცია კონკურენტებისაგან;

ზოგიერთ დარგში მჭიდრო კავშირების გამო კონკურენტი მომწოდებლები, ხშირად

ერთმანეთს უცვლიან საკრედიტო ინფორმაციას სავარაუდო კლიენტების შესახებ.

- ფინანსური ანგარიშგების ანალიზი;

კლიენტის გადახდისუნარიანობის დასადგენად აუცილებელია მისი მინიმუმ ბოლო სამი წლის ფინანსური ანგარისგების ანალიზი.

- კრედიტუნარიანობის შეფასება ქულების მიხედვით;

როცა ზემოთ ჩამოთვლილი კონტროლისა და შეფასების გზები დიდ დროსა და დანახარჯებს მოითხოვს, შეფასება შეიძლება მოხდეს ალთმანის კრედიტუნარიანობის ფორმულის საფუძველზე, რომელსაც მე-3 თავში განვიხილავ.

დებიტორული დავალიანების შეფასება შეიძლება შემდეგი მაჩვენებლებით:

სქემა 1.2.2



ასევე უმნიშვნელოვანესია დებიტორული დავალიანებების დაფარვის(ინკასაციის) პერიოდისა და დაფარვის რიცხვის მაჩვენებლები წელიწადში. ამ უკანასკნელებს

დებიტორული დავალიანებების ბრუნვადობის კოეფიციენტებსაც უწოდებენ. ინკასაციის პერიოდი იზომება დღეებში და გამოითვლება შედეგი ფორმულით:

ინკასაციის პერიოდი = $\frac{\text{დებიტორული დავალიანებების საშ. წლიური ნაშთი} * 365}{\text{წლიური კრედიტოგაყიდვები}}$ სადაც მნიშვნელოვანია

რომ ყოველ ჯერზე გამოვიყენოთ დავდაპირველად არჩეული მეთოდი. ამდენად მოცემული ფორმულით გამოვითვლით რამდენი დღე დასჭირდა დებიტორს დავალიანების წარმოქმნის მომენტიდან მის დაფარვამდე. ინკასაციის პერიოდის გამოსათვლელი ალტერნატიული ფორმულაა: ინკასაციის

პერიოდი = $\frac{\text{დებიტორული დავალიანებების ნაშთი}}{\text{საშ. დღიური გაყიდვები}}$

დებიტორული დავალიანებების დაფარვის რიცხვი გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ ფარავს დებიტორი წლის განმავლობაში დებიტორულ დავალიანებას. დებ. დავალ.

რიცხვი წელიწადში = $\frac{\text{წლიური კრედიტოგაყიდვები}}{\text{დებ. დავალიანების ნაშთი}}$ ან $\frac{365 \text{ დღე}}{\text{ინკასაციის პერიოდი დღე.}}$

რაც უფრო ნაკლები იქნება ინკასაციის პერიოდი, მით უფრო ნაკლები დრო დასჭირდება მყიდველს დებიტორული დავალიანების დაფარისათვის და მით უკეთესი იქნება საწარმოსათვის. თუ დავაკვირდებით ზემოთ მოცემულ ფორმულებს შევამჩნევთ, რომ დებიტორული დავალიანების ინკასაციის პერიოდის ზრდა, დებიტორული დავალიანებების ნაშთის ზრდას იწვევს. ანუ ისინი პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან. ხოლო დებიტორული დავალიანებების რიცხვის ზრდა, იწვევს მათი ნაშთების შემცირებას. ე.ი მათ შორის კავშირი უკუპროპორციულია. დებიტორული დავალიანებების ანალიზის პროცესში, საინტერესოა დებიტორული დავალიანებების ინკასაციის პერიოდის დინამიკური ანალიზი, რათა გამოვლინდეს განვლილი წლების ტენდენცია. მერყეობის ხარისხის გასაზომოდ, ისე როგორც სხვა შემთხვევებში, აქაც ვარიაციის კოეფიციენტს იყენებენ. ზემოთ ჩამოთვლილი კოეფიციენტები გამოვთვალოთ სს „თელიანი ველის“ მაგალითზე.

სს „თელიანი ველი და შვილობილი კომპანიების“ დებიტორული დავალიანებების ბრუნვადობის კოეფიციენტები.

	მაჩვენებლები	2014	2015	2016	2017
1	დებ. დავალიანების საშ. წლიური ნაშთი	8943	7898	6755	11900
2	წლიური კრედიტით გაყიდვები	2610	2735	18116	14848
3	ინკასაციის პერიოდი (1:2)	3.426	2.888	0.3729	0.8015
4	დებ.დავალიანების რიცხვი დღებში(365/დღე:3)	106.5	126.4	978.88	455.42

როგორც ცხრილიდან ჩანს 2015 წელს, წინა წელთან შედარებით დებიტორული დავალიანებების ამოღების პერიოდი შემცირდა ანუ წელიწადში დაფარვა ხდება დაახლოებით 2.9-ჯერ. შესაბამისად გაიზარდა დღეების რიცხვიც დაახლოებით 20 დღით. ამდენად საწარმოში ამ ორი წლის ინფორმაციაზე დაყრდნობით წინა წელთან შედარებით დებიტორული დავალიანებების ბრუნვის მაჩვენებლები გაუარესდა. თუ ამ მაჩვენებლებს დინამიკაში დავაკვირდებით დავინახავთ რომ გაუარესების ტემპი გაიზარდა და 2017 წელ, 2014 წელთან შედარებით დებიტორული დავალიანების ამოღების პერიოდი 4,3 ჯერ შემცირდა,რის ხარჯზეც დღეების რიცხვიც კოლოსალურად გაიზარდა. საბოლოო ჯამში მივიღეთ დებიტორული დავალიანების ბრუნვის მაჩვენებლების მკვეთრი გაუარესება.

როგორც უკვე ვთქვით, ვადაგადაცილებული დავალიანებების არსებობა აუარესებს საწარმოს გადახდისუნარიანობის დონეს. ამდენად ,ის დებიტორული დავალიანებების ინკასაციის მაჩვენებლებზეც უარყოფითად მოქმედებს.

ვადაგადაცილებული დავალიანებების შემცირების მიზნით, აუცილებელია ვალების კონტროლის პროცედურების გატარება. რაც შეიძლება გამოიხატოს ყველაზე მსუბუქი ფორმიდან დაწყებული, როგორცაა ვალის დაბრუნების წერილით ან სატელეფონო ზარით შეხსენაბა, უკიდურესი ფორმით დამთავრებული, რაც გულიცხმობს სასამართლოსათვის მიმართვას.

წარმოების პროცესის შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, საწარმოები იყენებენ დებიტორული დავალიანებების დაფინანსების ღონისძიებებს.

ფაქტორინგი_ფაქტორინგი, ეს არის დებიტორული დავალიანების ამოღებაზე უფლების გადაცემა სპეციალური ორგანიზაციისთვის რომელსაც ფაქტორული კომპანია ეწოდება. ძირითადად ესენი არიან კომერციული ბანკები და გვევლინებიან როგორც შუამავალი საწარმოები. ისინი აწარმოებენ კლიენტების გაყიდვების რეგისტრს, უზრუნველყოფენ უიმედო ვალებისაგან 100%-იან დაცვას, დაფინანსებას კი გასცემენ წინასწარ. მომსახურების სარგებლის თანხის ოდენობა შეთანხმებით მიიღწევა გაყიდვების მოცულობიდან რაღაც პროცენტის სახით. ფაქტორული კომპანიები წინასწარ ავანსად გასცემენ დებიტორული დავალიანებების საბალანსო ღირებულების 75-90%-ს, დარჩენილ ნაწილს კი ვალის ამოღების შემდეგ.

ანგარიშ-ფაქტურის აღრიცხვა (დისკონტირება) არის, მისაღები ვალის მესამე პირზე მიყიდვა დისკონტით, ნაღდი ფულის დაუყოვნებლივ მიღების სანაცვლოდ. (ი.ჭილაძე 2017:150) მათი მომსახურება განსხვავდება ფაქტორული კომპანიების მომსახურებისაგან. ისინი მომხმარებლებს არ სთავაზობენ გაყიდვების რეგისტრის წარმოებას და არც უიმედო ვალებისაგან დაცვას. კომპანია აღრიცხავ ანგარიშ-ფაქტურებს და ამის შემდეგ იხდის ავანსად შესყიდული ანგარიშ-ფაქტურების ღირებულების 75%-ს. კომპანია მუდმივად აკონტროლებს ანგარიშ-ფაქტურების დაფარვის პროცესს და დარჩენილ 25%-ს იხდის დაფარვის ბოლოს. მომსახურების ყოველთვიური სარგებელი 1-2%-ია.

დებიტორული დავალიანებების ფაქტორული ანალიზისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ჯაჭვური ჩასმის ხერხი და კორელაციური ანალიზი. სს თელიანი ველის მაგალითზე გავზომოთ დებიტორული დავალიანების ნაშთის გადახრაზე მოქმედი ფაქტორები შემდეგი დაკავშირების მიხედვით:

$$\text{დებიტ. დავალიან. ნაშთი} = \text{კრედიტით გაყიდვები} : \frac{\text{კრედიტით გაყიდვები}}{\text{დებიტორული დავალიანების ნაშთი}}$$

სს “თელიანი ველი და შვილობილი კომპანიების“ დებიტორული დავალიანების ნაშთის გადახრაზე მოქმედი ფაქტორები

	2014	2015	გადახრა
დებ. დავალიანების ნაშთი	8943	7898	-1045
კრედიტით გაყიდვები	2610	2735	+125
ინკასაციის რიცხვი	3.426	2.888	-0.538

ანალიზისათვის გამოვიყენოთ ჯაჭვური ჩასმის მეთოდი:

პირველ ეტაპზე ყველა მაჩვენებელი საბაზისო დონეზე აირება ანუ: $2610:3.426=761.82$ ლარი. შემდეგ ჯერზე ავიღოთ კრედიტით გაყიდვები მიმდინარე წელს: $2735:3.426=798.31$

ახლა ვნახოთ თუ რა გავლენა მოახდინა კრედიტით გაყიდვების ცვლილებამ:

$$798.3-761.8=36.49$$

შემდეგ ეტაპზე ორივე მაჩვენებელი ავიღოთ მიმდინარე ანუ 2015 წლის დონეზე: $2735:2.888=947.02$ ლარი

ამდენად, დებიტორული დავალიანებების ინკასაციის რიცხვის ცვლილების გავლენა იქნება: $947.02-798.3=148.71$

როგორც ანალიზიდან ჩანს კრედიტით გაყიდვები 2015 წელს გაიზარდა 125 ათასი ლარით, დებიტორული დავალიანების ნაშთიც გაიზარდა 36.02 ათასი ლარით, ხოლო დებიტორული დავალიანების დაფარვის რიცხვის შემცირებამ 0.538 ჯერ დებიტორული დავალიანების ნაშთი გაზარდა 148.71 ათასი ლარით რაც უარყოფითი მოვლენაა.

ანალოგიურად განვიხილოთ 2016-2017 წლის მაჩვენებლები:

სს “თელიანი ველი და შვილობილი კომპანიების“ დებიტორული დავალიანების ნაშთის გადახრაზე მოქმედი ფაქტორები

ცხრილი 1.2.3

	2016	2017	გადახრა
დებ. დავალიანების ნაშთი	6755	11900	+5145
კრედიტით გაყიდვები	18116	14848	-3268
ინკასაციის რიცხვი	0.3729	0.8015	+0.4286

ანალიზისათვის გამოვიყენოთ ჯაჭვური ჩასმის მეთოდი:

პირველ ეტაპზე ყველა მაჩვენებელი საბაზისო დონეზე აიღება ანუ:
 $18116:0.3729=48581.4$ ლარი. შემდეგ ჯერზე ავიღოთ კრედიტით გაყიდვები მიმდინარე წელს: $14848:0.3729=39817.6$

ახლა ვნახოთ თუ რა გავლენა მოახდინა კრედიტით გაყიდვების ცვლილებამ:

$39817.6-48581.4=-8762.8$

შემდეგ ეტაპზე ორივე მაჩვენებელი ავიღოთ მიმდინარე ანუ 2017 წლის დონეზე:
 $14848:0.8015=18525.3$ ამდენად, დებიტორული დავალიანებების ინკასაციის რიცხვის ცვლილების გავლენა იქნება: $18525.3-39817.6=-21292,3$

როგორც ანალიზიდან ჩანს კრედიტით გაყიდვები 2017 წელს შემცირდა 3268 ათსი ლარით, დებიტორული დავალიანების ნაშთიც შემცირდა 8762.8 ათასი ლარით, ხოლო დებიტორული დავალიანების დაფარვის რიცხვის გაიზარდა 0.4286-ჯერ დებიტორული დავალიანების ნაშთი შემცირდა 21292,3 ლარით რაც დადებითი მოვლენაა.

ანალოგიურად განვიხილოთ 2014-2017 წლები სადაც საბაზისო წელი იქნება 2014, ხოლო მიმდინარე-2017წელი.

სს “თელიანი ველი და შვილობილი კომპანიების“ დებიტორული დავალიანების ნაშთის გადახრაზე მოქმედი ფაქტორები

ცხრილი 1.2.4

	2014	2017	გადახრა
დებ. დავალიანების ნაშთი	8943	11900	+2957
კრედიტით გაყიდვები	2610	14848	+12238
ინკასაციის რიცხვი	3,426	0.8015	-2,6245

მართალია 2016 წლიდან 2017 წლამდე პერიოდში მდგომარეობა უმჯობესდებოდა, მაგრამ თუ დავაკვირდებით მაჩვენებლებს დინამიკაში 2014 წლიდან 2017 წლამდე ვნახავთ რომ მდგომარეობა საერთო ჯამში გაუარესდა. განვიხილოთ ჯაჭვური ჩასმის ხერხი აღნიშნული პერიოდისათვის.

$$2610:3,426=761,82$$

$$14848:3,426=4333,917$$

ვნახოთ რა გავლენა მოახდინა კრედიტით გაყიდვების ცვლილებამ:

$$4333,917-761,82=3572,097$$

ახლა მაჩვენებლები ავიღოთ 2017 წლის დონეზე

$$14848:0,8015=18525,2651 \text{ ამდენად, დებიტორული დავალიანებების ინკასაციის რიცხვის ცვლილების გავლენა იქნება: } 18525,2651-4333,917=14191,348$$

როგორც ანალიზიდან ჩანს კრედიტით გაყიდვები 2017 წელს გაიზარდა 12238 ათასი ლარით, დებიტორული დავალიანების ნაშთიც გაიზარდა 2957 ათასი ლარით, ხოლო დებიტორული დავალიანების დაფარვის რიცხვი შემცირდა 2,6245-ჯერ დებიტორული დავალიანების ნაშთი გაიზარდა 14191,348 ათასი ლარით რაც რა თქმა უნდა უარყოფითი მოვლენაა.

ვალდებულებები (კრედიტორული დავალიანება)- არის მოვალეობა, რომელიც საწარმოს მიმდინარე პერიოდში აქვს და რომელიც გასული პერიოდების სამეურნეო საქმიანობის შედეგად წარმოიქმნა. ვალდებულებების შესრულება გულისხმობს საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლას საწარმოდან.

ამდენად ვალდებულებები საწარმოს დაფინანსების მოზიდული წყაროებია. იგი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც რაიმე სახის აქტივის მიღების სანაცვლოდ არ გაიცემა შესაბამისი ფულადი აქტივი. შედეგად საწარმო მოვალე ხდება სხვა სუბიექტის მიმართ გადაუხადოს გარკვეული თანხა რის შედეგადაც საწარმოს აქტივები მცირდება. საწარმოს ვალდებულებები შეიძლება იყოს როგორც გრძელვადიანი, ისე მოკვევადიანიც. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი განასხვავებს ფაქტიურ, შეფასებით და პირობით ვალდებულებებს. ფაქტიური ვალდებულებები წარმოიქმნება ხელშეკრულების, კონტრაქტის ან კანონმდებლობის საფუძველზე და მათი ზუსტად გაანგარიშება შეიძლება. შეფასებითი მოსალოდნელი ვალდებულებები ისეთი ვალდებულებებია, რომლის ზუსტი თანხის გამოთვლა განსაზღვრული დროის დადგომამდე შეუძლებელია. პირობითი ვალდებულებები აუღიარებელი ვალდებულებებია. იგი შესაძლო მოვალეობაა, რომელიც წარსული მოვლენების შედეგად შეიძლება მომავალში წარმოიშვას, ან არ წარმოიშვას. სწორედ ამიტომ მისი ზუსტი თანხის გამოთვლა შეუძლებელია.

მოთხოვნების მსგავსად, არსებობს შემდეგი სახის ვალდებულებები.

- ✓ ჩვეულებრივი ვალდებულებები;
- ✓ აღებული სესხები;
- ✓ სათამასუქო ვალდებულებები;
- ✓ გამოშვებული ობლიგაციები;
- ✓ დარიცხული ვალდებულებები;
- ✓ საგადასახადო ვალდებულებები;
- ✓ გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები.

ჩავატაროთ სს „თელიანი ველის“ ვალდებულებების დინამიკური და სტრუქტურული ანალიზი.

სს „თელიანი ველი და შვილობილი კომპანიების“ ვალდებულებების დინამიკური და სტრუქტურული ანალიზი.

ცხრილი 1.2.5

მაჩვენებლები	2014		2015		2016		2017		% - ად საბ 2014
	თანხ ა	ხვ.წ. %	თანხ ა	ხვ.წ. %	თანხ ა	ხვ.წ. %	თანხ ა	ხვ.წ. %	
ვალდებულებები სულ	19059	100	18921	100	65384	100	87853	100	460
მოკლევადიანი	9348	49	8498	45	57773	88	26371	30	282
გრძელვადიანი	9711	51	10423	55	7611	12	61482	70	633
მოკლევადიანი ვალდებულებები									
სავაჭრო და სხვა კრედიტ. ვალდ.	2610	27.9	2735	32.2	18116	31	14848	59.1	568.9
მოგების გადასახადის მიმდ.გად.	696	7.4	892	10.5	642	1.6	-	0	0
სახელმწიფო გრანტი	155	1.7	4	0.000 1	-	0	-	0	0
% სესხები და გადასახდელი ანგ.	3116	33.3	2358	27.7	38610	67	9795	39	314
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	2771	29.7	2509	29.6	265	0.4	455	1.9	16
ჯამი	9348	100	8498	100	57633	100	25098	100	268.5
გრძელვადიანი ვალდებულებები									
% სესხები და	8588	88.4	9233	88.6	7611	100	61482	100	715.9

გადასახდელი ანგ.									
გადავადებული საგადასახ. ვალდ.	1123	11.6	1190	11.4	-	0	-	0	0
ჯამი	9711	100	10423	100	7611	100	61482	100	633.1

როგორც ცხრილიდან ჩანს ყოველ წელს გრძელვადიანი ვალდებულებების ხვედრითი წილი მოკლევადიან ვალდებულებების ხვედრით წილზე მეტი იყო. ასევე გრძელვადიანი ვალდებულებები წინა წელთან შედარებით უფრო მეტად გაიზარდა ვიდრე მოკლევადიანი ვალდებულებები. რაც ორივე შემთხვევაში უარყოფით მოვლენას წარმოადგენს

ასევე შეგვიძლია შევისწავლოთ შემდეგი მაჩვენებლები:

1. ფინანსური ლევერიჯის ერთ-ერთი კოეფიციენტია ვალდებულებების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან. ეს კოეფიციენტი აფასებს, როგორ იცვლება რისკები განვლილ პერიოდში. იგი 1-ს არ უნდა აღემატებოდეს. როგორც ქვემოთ ცხრილში მოცემული მონაცემებიდან ჩანს ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებელი გაუმჯობესდა.

$$2. \text{ვალდებულებების დაფარვის კოეფიციენტი} = \frac{\text{საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული}}{\text{მთლიანი ვალდებულებები}};$$

იგი გვიჩვენებს საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფული რამდენჯერ აღემატება მთლიან ვალდებულებებს. ამ კოეფიციენტის ზრდა დადებითი მოვლენაა და გაანგარიშებიდან ჩანს, რომ წინა წელთან შედარებით კოეფიციენტი ფაქტიურად არ შეცვლილა.

$$3. \text{მოზიდული კაპიტალის კონცენტრ. კოეფიციენტი} = \frac{\text{ვალდებულებები}}{\text{აქტივები}};$$

ეს კოეფიციენტი დინამიკაში უნდა მცირდებოდეს. წინა წელთან შედარებით კოეფიციენტი 0.001-ით შემცირდა.

$$4. \text{სესხის გრძელვადიანი მოზიდვის კოეფ.} = \frac{\text{გრძელვადიანის სესხები}}{\text{გრძელვადიანის სესხები + საკ. კაპიტალი}};$$

5. გრძელვადიანი დაბანდების სტრუქტურის კოეფ. = $\frac{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{გრძელვადიანი აქტივები}}$;

ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს გრძელვადიანი აქტივების რა ნაწილია დაფინანსებული კრედიტორების მიერ. 2015 წელს წინა წელთან შედარებით კოეფიციენტის მნიშვნელობა გაიზარდა, რაც უარყოფითი მოვლენაა.

სს“თელიანი ველი და შვილობილი კომპანიების“ რამდენიმე მნიშვნელოვანი კოეფიციენტი.

ცხრილი 1.2.6


	მაჩვენებლები	2014	2015	2016	2017
1	გრძელვადიანი აქტივები	11217	11377	69540	104549
2	მიმდინარე აქტივები	26803	26502	38536	53642
3	აქტივები სულ (1+2)	38020	37879	108076	158191
4	საკუთარი კაპიტალი	18961	18958	42692	70337
5	გრძელვადიანი ვალდებულებები	9711	10423	7611	61482
6	მიმდინარე ვალდებულებები	9348	8498	57773	26371
7	ვალდებულებები სულ (5+6)	19059	18921	65384	87853
8	ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი (7:4)	1.005	1.005	1.532	1.249
9	საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული	4339	4325	1643	(4633)

10	ვალდებულებების დაფარვის კოეფიციენტი(9:7)	0.228	0.229	0.025	(0.053)
11	მოზიდ. კაპიტალის კონცენტრ.კოეფიც. (7:3)	0.501	0.5	0.6	0.56
12	გრძელვადიანი სესხები	8588	9233	6711	61482
13	სესხის გრძელვად. მოზიდვის კოეფ. (12:(12+4))	0.312	0.328	0.136	0.466
14	გრძელვად. დაბანდების სტრუქტურის კოეფ.(5:1)	0.866	0.916	0.109	0.588

გავანალიზოთ მიღებული მაჩვენებლები: მთლიანი ვალდებულებები 2014 წლის დონესთან შედარებით 2017 წელს 4,6-ჯერ გაიზარდა, ლევერიჯის კოეფიციენტი 2016 წელთან შედარებით მართალია შემცირდა მაგრამ 2014 წლის დონესთან შედარებით გაზრდილია, გაზრდილია მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტიც, ისევე როგორც სესხის გრძელვადიანი მოზიდვის კოეფიციენტი. მართალია ეს კოეფიციენტები 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით უკეთეს მდგომარეობას ასახავს, მაგრამ დინამიკაში 2014 წელთან შედარებით ყველა მაჩვენებელი გაუარესებულია. დარაც ყველზე მთავარია, საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული სახსრები უარყოფითი სიდიდის სახითაა წარმოდგენილი. აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით კომპანიის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა.

მომწოდებლისგან საქონლის შესყიდვის დროს, როცა არ ხდება იმავდროულად ფულის გადახდა გამოიყენება ტერმინი სავაჭრო კრედიტი. ე.ი მომწოდებელი თანახმაა საქონლის ღირებულება მოგვიანებით მიიღოს. სავაჭრო კრედიტორული დავალიანებების დაფარვის ვადა ეკონომიკის დარგების თავისებურებებიდან გამომდინარე განსხვავებულია. მინიმალური ვადა 7 დღეა. მაქსიმალური _1 თვე. თუმცა, როდესაც მასალის მზა პროდუქციად გადაქცევას 1 თვეზე მეტი სჭირდება, მაშინ დაფარვის ვადაც აღემატება ერთ თვეს.

სავაჭრო კრედიტის არსებობისა და მდგომარეობის მაჩვენებლებია:



ნებისმიერი საწარმოს ინტერესებშია დროულად დაფაროს მომწოდებლისადმი არსებული დავალიანება, რადგან დავალიანების დაფარვის ვადის გადაცილება დაკავშირებულია დანახარჯებთან რაც ხშირად გამოწვეულია ფასდაკლებების გამოყენების შანსისა და მომწოდებელთა კეთილდღეობის დაკარგვით. მრავალჯერადი ფულის გადახდის დაგვიანებები ნებადართულ დონეზე მეტხანს, საბოლოოდ საწარმოს მიიყვანს იქამდე, რომ მომწოდებელი უარს იტყვის მოწოდების გაგრძელებაზე. მოწოდებიდან წარმოქმნილი ვადაგადაცილებული დავალიანებების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი საწარმოს დაბალ გადახდისუნარიანობაზე მიანიშნებს რაც კიდევ უფრო ართულებს მოლაპარაკებებს პოტენციურ მომწოდებლებთან. საბოლოოდ კი მათ დაკარგვას იწვევს. შედეგად მივიღებთ საწარმოო საქმიანობის სეკვეცას, თანამშრომლების დათხოვნას და უკიდურეს შემთხვევაში გაკოტრებას. სწორედ ამიტომაა ძალიან მნიშვნელოვანი ვადაგადაცილებული დავალიანებების ანალიზი და პრობლემების აღმოფხვრის გეგმის შემუშავება. ანალიზის დროს შეისწავლება კრედიტორული დავალიანებების დაფარვის მაჩვენებლები. დაფარვის (გადახდის) პერიოდი და დაფარვის (გადახდის) რიცხვი.

$$\text{კრედიტორული დავ. დაფარვის პერიოდი} = \frac{\text{მომწოდებიდანდავალიანებისნაშთი}}{\text{კრედიტითაყიდვები}} * 365$$

კრედიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი გვიჩვენებს საშუალოდ რამდენი დღე სჭირდება საწარმოს წელიწადში, მომწოდებელთა დავალიანების დასაფარავად.

არსებობს გამოსათვლელი მეორე ფორმულაც, რომელსაც აქვს სახე $\frac{\text{სავაჭროკრედიტისდავალიანებისნაშთი}}{\text{დღიურიშესყიდვები}}$ სადაც დღიური შესყიდვები გამოითვლება წლიური შესყიდვების მოცულობის 365-ზე გაყოფით.

კრედიტორული დავალიანების დაფარვის რიცხვი გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ იხდის წლის განმავლობაში საწარმო მომწოდებლის დავალიანებას.

კრ. დავალიანების დაფარვის რიცხვი $= \frac{\text{წლიურიკრედიტითშესყიდვები}}{\text{მომწ.დავალიანებისნაშთი}}$, ან $\frac{365}{\text{ვალდ.დაფარვისპერიოდი}}$.

თუ დავაკვირდებით ფორმულებს ვნახავთ, რომ რაც უფრო გაიზრდება კრედიტორული დავალიანებების დაფარვის პერიოდი, მით უფრო გაიზრდება მოწოდებიდან წარმოშობილი დავალიანების ნაშთებიც. (პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება). დაფარვის პერიოდის ზრდა უარყოფით მოვლენას წარმოადგენს. რაც შეეხება დაფარვის რიცხვს, მისი ზრდა კრედიტორული დავალიანებების ნაშთებს ამცირებს რაც დადებითი მოვლენაა.

ამდენად, საწარმოს მოთხოვნილებებისა და ვალდებულებების ანალიზს დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ეფექტურად მართვის მიზნით. ანალიზის შედაგად უნდა მოხდეს არასასურველი გადახრების აღმოფხვრა და დადებითი მოვლენების სტიმულირება.

1.3 საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის ანალიზი

ყოველი საწარმო ფლობს რესურსების განსაზღვრულ დონესა და სახეობას, რომელიც დამოკიდებულია მისი სამეურნეო საქმიანობის ტიპზე და რომლის მართვის წყალობით, საწარმოს შეუძლია მიაღწიოს მისთვის სასურველ ფინანსურ-ეკონომიკურ შედეგს. საწარმოს მიზანია არსებული რესურსების პირობებში წარმოების ეფექტურ დონეს მიაღწიოს. ეფექტური შედეგის მისაღწევად, კი საჭიროა რესურსების ეფექტური მართვა.

ანალიზისათვის შეისწავლება საწარმოს ხელთ არსებული ფულადი, მატერიალური და არამატერიალური⁶ რესურსების მოცულობა, სტრუქტურა და დინამიკა.

საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის ანალიზის ამოცანებია:

- საწარმოს მთლიანი აქტივების სტრუქტურის შესწავლა;
- მიმდინარე აქტივების სტრუქტურისა და დინამიკის შესწავლა;
- გრძელვადიანი აქტივების სტრუქტურისა და დინამიკის შესწავლა;
- იმ წყაროების შესწავლა, სადადანაც ხდება აქტივების დააფინანსება.

საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის შეფასების მაჩვენებელთა სისტემა საკმაოდ მრავალფეროვანია. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

მნიშვნელოვანი მაჩვენებელია აქტივების მოცულობის ცვლილება. აქტივების მოცულობის ზრდა საწარმოს ეკონომიკური პოტენციალის ზრდას მოასწავებს რაც საწარმოს განვითარების შესაძლებლობას ნიშნავს.

მიმდინარე აქტივების ხვედრითი წილი მთლიანი აქტივების მიმართ გამოითვლება ფორმულით $\frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{აქტივებისჯამი}} * 100$. მიმდინარე აქტივებად კლასიფიკაციაზე უკვე ვისაუბრეთ 1.1 ქვეთავში. ესკოეფიციენტი გვიჩვენებს რა წილი უჭირავს პროცენტულად მიმდინარე აქტივებს მთლიან აქტივებში. მიმდინარე აქტივების ზრდა წილადის მნიშვნელობის ზრდას იწვევს, რაც დადებითი მოვლენაა, რადგან მიმდინარე აქტივების მაღალი დონე მაღალ მობილურობას ნიშნავს რაც საწარმოს ლიკვიდურობას ზრდის. ასევე გამოითვლიან გრძელვადიანი აქტივების ხვედრით წილს მთლიანი აქტივების მიმართ $\frac{\text{გრძელვადიანი აქტივები}}{\text{აქტივებისჯამი}} * 100$. ვინაიდან გრძელვადიანი აქტივები არამობილურია ანუ ნელა ბრუნვადია, მართალია მისი მაღალი დონე საწარმოს მდგომარეობას კრიტიკულად არ აუარესებს, მაგრამ მას ნაკლებ ლიკვიდურს ხდის რამაც შემდგომში შეიძლება დიდი პრობლემები წარმოშვას. როგორც ცხრილიდან ჩანს მიმდინარე აქტივების ხვედრითი წილი ორივე წელს ორჯერ მეტია გრძელვადიან აქტივებზე რაც დადებითი მოვლენაა, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნე მოკლევადიანი აქტივები

⁶ არამატერიალური აქტივი არის იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, ფიზიკური ფორმის გარეშე. მაგ. ლიცენზია, პატენტი, გუდვილი. არამატერიალური აქტივების არსს განსაზღვრავს ბასს 32.

სწრაფი მობილურობით ხასიათდება და საწარმოში მისი მაღალი დონე, საწარმოს მაღალი ლიკვიდურობის მაჩვენებელია.

სს „თელიანი ველი და შვილობილი კომპანიების“ მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივების ხვედრითი წილი აქტივების მიმართ.

ცხრილი 1.3.1

	მაჩვენებლები	2014	2015	2016	2017
1	მიმდინარე აქტივები	26803	26502	38536	53642
2	გრძელვადიანი აქტივები	11217	11377	69540	104549
3	ჯამური აქტივები (1+2)	38020	37879	108076	158191
4	მიმდ. აქტივების ხვ. წილი აქტივების მიმართ (1:3)*100	70.5	70	35.66	33.91
5	გრძელვად.აქტივ. ხვედრ. წილი აქტივების მიმართ (2:3)*100	29.5	30	64.34	66.09

მართალია აქტივების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა, მაგრამ მასში მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივების ხვედრითი წილების გადანაწილება სახარბიელო არ არის. მიმდინარე აქტივების ხვედრითი წილი ყოველწლიურად კლებულობდა რის ხარჯზეც, გრძელვადიანი აქტივების ხვედრითი წილი გაიზარდა. მიმდინარე აქტივების ხვედრითი წილის დაბალი მაჩვენებელი ნიშნავს რომ კომპანია ნაკლებ მოქნილია ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რაც თავისმხრივ უარყოფითი მოვლენაა.

გრძელვადიანი აქტივების შემადგენელია ძირითადი საშვალეები. იგი საწარმოს ტექნიკური მდგომარეობის განმსაზღვრელია. მას აქტიურ ანუ მუშა მანქანა-დანადგარებად და პასიურ მანქანა-დანადგარებად ყოფენ. გრძელვადიანი აქტივების ხვედრით წილთან ერთად მისი ცალკეული კომპონენტებისთვისაც გამოითვლება

ცალკეული მაჩვენებლები. მაგალითად, ძირითადი საშვალეებისათვის გამოითვლიან ცვეთისა და განახლების კოეფიციენტებს.

ძირითადი საშვალეების ცვეთა = $\frac{\text{დაგროვილიცვეთა}}{\text{ძირითადისაშვ.პირვანდელიღირებულება}}$; ვინაიდან ცვეთა ეტაპობრივად ირიცხება ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს ძირითადი საშვალეების პირვანდელი ღირებულების რა ნაწილია აღიარებული პროდუქციის თვითღირებულებაში. აქედან გამომდინარე, რაც უფრო ახლოსაა ცვეთის კოეფიციენტი 1-თან, ძირითადი საშვალეები მით უფრო ძველია. თუ კოეფიციენტს 100-ზე გავამრავლებთ მივიღებთ ცვეთის კოეფიციენტს პროცენტულად. ამშემთხვევაში რაც უფრო ახლოს იქნება მაჩვენებელი 100%-თან, მით უფრო ძველი იქნება ძირითადი საშვალეა.


ძირითადი საშვალეების განახლების კოეფიციენტი ახასიათებს ძირითადი საშვალეების განახლების დონეს. გამოითვლება შემდეგნაირად:

$$\frac{\text{წლისგანმავლობაშიშეძენილიახალიძირითადისაშვალეებისღირებულება}}{\text{წლისბოლოსძირითადისაშვალეებისღირებულება}} ;$$

ცვეთისა და განახლების კოეფიციენტების ჯამი, როგორც წესი 1-ის ტოლი უნდა იყოს. განახლების კოეფიციენტის 100-ზე გამრავლებით, იგი პროცენტულად შეიძლება გამოვსახოთ. რაც უფრო ახლოსაა ის 100%-თან, მით უკეთესია.

საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის ანალიზისთვის ასევე გამოითვლება საწარმოს წმინდა აქტივების, საკუთარი საბრუნავი სახსრებისა და საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფის მაჩვენებლები.

სქემა 1.3.1



საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფა გვიჩვენებს საკუთარი საბრუნავი სახსრებით იფარება თუ არა მატრეიალური მარაგები. გამოითვლება , როგორც საკუთარი საბრუნავი სახსრების ნაშთისა და მატრეიალური აქტივების ნაშთის სხვაობა. ზემოთ ჩამოთვლილ კოეფიციენტებთან ერთად საჭიროებისამებრ შეგვიძლია გამოვთვალოთ ხვედრითი წილის სხვა კოეფიციენტებიც. რაც შეეხება დინამიკურ ანალიზს, მან უნდა გვიჩვენოს საკვლევი მაჩვენებელი როგორ იცვლებოდა. იზრდებოდა, მცირდებოდა, სტაბილურობით ხასიათდებოდა თუ მკვეთრი მერყეობით. საბოლოოდ კი როგორ ფინანსურ მდგომარეობამდე მიგვიყვანა ამ ცვლილებამ.

სტრუქტურისა და დინამიკის მაჩვენებლების შესწავლასთან ერთად მნიშვნელოვანია დაფინანსების წყაროების სტრუქტურის დადგენაც. ცნობილი საბალანსო ტოლობა

$$გა + (მა - მვ) - გვ = სკ + რ + გმ;^7 \text{ სადაც}$$

გა _ გრძელვადიანი აქტივებია;

სკ _ სააქციო კაპიტალი;

მა _ მოკლევადიანი აქტივები;

მვ _ მოკლევადიანი ვალდებულებები;

გვ _ გრძელვადიანი ვალდებულებები;

გმ _ გაუნაწილებელი მოგება;

რ _ რეზერვები საემისიო კაპიტალის ჩათვლით.

⁷ ი.ჭილაძე-ფინანსური ანალიზი. 2017წ. გვ.110.

როგორც ზემოთ ვაჩვენეთ სქემაზე, მიმდინარე აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების სხვაობა რომელიც ფრჩხილებშია მოცემული, იგივეა რაც საკუთარი საბრუნავი სახსრები. ტოლობის მარჯვენა მხარე – სააქციო კაპიტალი, რეზერვები და გაუნაწილებელი მოგება, ერთად საკუთარ კაპიტალს ქმნის. ამდენად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გრძელვადიანი აქტივებისა და საკუთარი საბრუნავი სახსრების ჯამისა და გრძელვადიანი ვალდებულებების სხვაობა იგივეა რაც საკუთარი კაპიტალის მთლიანი მოცულობა. თუ დავაკვირდებით ტოლობას, ვნახავთ რომ საკუთარი საბრუნავი სახსრების ზრდა (ანუ როდესაც მოკლევადიანი აქტივები იზრდება ან მოკლევადიანი ვალდებულებები მცირდება) საკუთარ კაპიტალს გაზრდის, ხოლო გრძელვადიანი და მოკლევადიანი ანუ მიმდინარე ვალდებულებების ზრდა საკუთარი კაპიტალის მოცულობას ამცირებს.

საწარმოს ქონების დაფინანსება რამდენიმე გზით შეუძლია. ეს შეიძლება იყოს აქციები და ობლიგაციები, საბანკო სესხები, საემისიო კაპიტალი, გაუნაწილებელი მოგება და სხვა. მათ დაფინანსების ტრადიციულ წყაროებსაც უწოდებენ. გრძელვადიანი დაფინანსება შეიძლება მოხდეს ოფციონით, ლიზინგით, ფრანჩაიზინგით, გირავნობის ოპერაციებითა და საპროცენტო სვოპებით. მათ ახალ ინსტრუმენტებს უწოდებენ.

გირაოს დროს კრედიტორი, ანუ გირაოს მიმღები უფლებას იძენს ვალის ამლების მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სანაცვლოდ დაგირავებული ქონება დაიტოვოს. გირავნობის ნივთები შეიძლება იყოს ავეჯი, ტექნიკა, ფასიანი ქაღალდები ან სხვა ქონება. გირაო რომელიც დაკავშირებულია შენობებთან და მიწასთან იპოთეკის სახელითაა ცნობილი. გირავნობის შეთანხმება წერილობით უნდა შედგეს და ნოტარიუსის მიერ დამტკიცდეს.

ფრანჩაიზინგი ორ მხარეს - ფრანჩაიზერსა და ფრანჩაიზას შორის საქმიანი ურთიერთობის ერთ-ერთი სახეობაა. ფრანჩაიზერებად როგორც წესი გვევლინებიან მსხვილი ბრენდის მფლობელები, რომლებიც ნებას რთავენ ფრანჩაიზას თავისი სამარკო ნიშნის ქვეშ წარმართოს საკუთარი ბიზნესი, გარკვეული პირობების დაცვით. ფრანჩაიზის მიმღები შეიძლება გახდეს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. ამ დროისთვის ფრანჩაიზინგი ყველაზე გავრცელებულია ტურისტულ და სასტუმრო

ბიზნესში. ბიზნესის წარმოების ასეთი მეთოდი ორივე მხარისთვის გამოსადეგია, რადგანაც ფრანჩაიზერები აგრძელებენ საკუთარი ბიზნესის განვითარებას, ხოლო ფრანჩაიზები, თავის მხრივ ანვითარებენ საკუთარ საქმიანობას ხელსაყრელ პირობებში. ამრიგად, მზა ბიზნესის შექმნისას, რომელსაც უკვე მომზადებული საფუძველი აქვს, ფრანჩაიზების რისკი მინიმალურია. ისევე როგორც ლიზინგი, ფრანჩაიზინგიც არ წარმოადგენს საწარმოს პირდაპირ დაფინანსებას. როგორც უკვე აღვნიშნე ფრანჩაიზინგის ოპერაცია ხელსაყრელია ნებართვის გამცემი პირისთვის, რადგან ხდება მისი კომპანიის რეკლამირება და დამატებით მიიღება შემოსავალი ფრანჩაიზის მიმღების მიერ ნებართვის გამოყენების სანაცვლოდ გადასახადის გადახდის სახით.

ქონებრივი მდგომარეობის ანალიზისათვის საჭირო მონაცემები უნდა ავიღოთ ბუღალტრული ბალანსიდან სადაც მოცემულია აქტივებისა და მათი დაფინანსების წყაროების შემადგენლობა. ბუღალტრული ბალანსის მიხედვით ჩავატაროთ ვერტიკალური ანალიზი, შემდეგ გამოვთვალოთ გადახრები აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის შემადგენელი მუხლების მიხედვით და გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნები. დავახასიათოთ სააქციო საზოგადოება „თელიანი ველის“ ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურა და გამოვთვალოთ შემდეგი კოეფიციენტები:

$$\text{საკ. კაპიტალის კონცენტრაციის კოეფ.} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{აქტივებისჯამი}};$$

$$\text{მოზიდული კაპიტ. კონცენტრ. კოეფ.} = \frac{\text{ვალდებულებები}}{\text{აქტივებისჯამი}};$$

სს „თელიანი ველი და შვილობილი კომპანიების“ საკუთარი და მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტები.

ცხრილი 1.3.2

მაჩვენებლები	2014	2015	2016	2017
--------------	------	------	------	------

1	საკუთარი კაპიტალი	18961	18958	42692	70337
2	ვალდებულებები	19059	18921	65384	87853
3	აქტივების ჯამი	38020	37879	108076	158191
4	საკუთარი კაპიტალის კონცენტრ. კოეფ.(1:3)	0.499	0.5	0.40	0.45
5	მოზიდული კაპიტალის კონცენტრ. კოეფ.(2:3)	0.501	0.5	0.6	0.56

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტისა და მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტების ჯამი 1-ის ტოლია , პროცენტებში გადაყვანილი კი 100%-ის. ვალდებულებები 2017 წელს, 2014 წელთან შედარებით გაზრდილია. მართალია დინამიკაში საკუთარი კაპიტალის მაჩვენებლებიც იზრდებოდა, მაგრამ ნაკლები სიდიდით და შედეგად 2017 წელს, საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი (0.45), ნაკლები აღმოჩნდა მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტზე (0.56). ეს ცხრილიდანაც კარგად ჩანს. როგორც ზემოთაც ვახსენეთ მოზიდული კაპიტალის მაღალი დონე სასურველი არ არის.

სტრუქტურული ანალიზის ჩატარების შემდეგ მნიშვნელოვანია რომ ყურადღება გავამახვილოთ იმ მუხლებზე, რომლებიც ყველაზე მეტად შეიცვალა. სტრუქტურულ ანალიზს აქვს ნაკლოვანება, რაც გამოიხატება იმაში, რომ ერთი მუხლის ხვედრითი წილის ცვლილება, მეორე მუხლის ხვედრითი წილის ცვლილებას იწვევს. იგივე ნაკლოვანება არ აქვს ჰორიზონტალურ, ანუ დინამიკურ ანალიზს. იგი რეალურ სურათს არ ამახიჯებს. ჩავატაროთ დინამიკური ანალიზი ჩვენს მაგალითზე და თვალსაჩინოების მიზნით ავაგოთ დინამიკური გრაფიკი.


სს „თელიანი ველი და შვილობილი კომპანიების“ საკუთარი და მოზიდული კაპიტალის დინამიკური ანალიზი

ცხრილი 1.3.3

მაჩვენებლები	2014		2015		2016		2017		% -ად საბ.2014
	თანხა	ხვ.წ. %	თანხა	ხვ.წ. %	თანხა	ხვ.წ. %	თანხა	ხვ.წ. %	
აქტივების ჯამი	38020	100	37879	100	108076	100	158191	100	416
საკ.კაპიტალი	18961	49.9	18958	50	42692	39.5	70337	44.5	371
ვალდებულებები	19059	50.1	18921	50	65384	60.5	87853	55.5	461

სს „თელიანი ველი და შვილობილი კომპანიების“ საკუთარი და მოზიდული კაპიტალის ხვედრითი წილი აქტივებში

დიაგრამა 1.3.1



ხვედრითი წილის მაჩვენებლები 2015 წელს, 2014 წელთან შედარებით უმნიშვნელოდ შეიცვალა. ძირითადი ცვლილებები 2016 წელს შეინიშნება 2015 წელთან შედარებით, რაც მიუთითებს იმაზე რომ 2015 წელს მოხდა ძირითადი გაუარესებები და კომპანიამ ახალი საანგარიშგებო პერიოდი გაზრდილი ვალდებულებებით დაიწყო. 2016 წელთან შედარებით 2017 წელს საკუთარი კაპიტალის ხვედრითი წილი გაიზარდა, რაც დადებითი მოვლენაა, მაგრამ აღსანიშნავია რომ 2014 წლის დონესთან შედარებით, ის მაინც ნაკლებია. ასევე საინტერესოა ის რომ, მართალია 2017 წელს კომპანიას 2016 წელთან შედარებით გაზრდილი ვალდებულებები აქვს მაგრამ, საკუთარი კაპიტალის მაჩვენებელი უფრო მეტად გაიზარდა და აქედან გამომდინარე ვალდებულებების ხვედრითი წილი, გასულ წელთან შედარებით შემცირდა.

საკუთარი საბრუნავი სახსრების შემცირება უარყოფითი მოვლენაა და საჭიროებს რეაგირებას. შემცირების მიზეზი არაერთია. ეს შეიძლება იყოს:

- ფულადი სახსრების ბრუნვის შენელება ან მათი არადანიშნულებისამებრ გამოყენება;
- შეფერხება დებიტორული დავალიანებების ამოღების პროცესში;
- ბაზარზე მასალის გაძვირება, რომელიც თავისი არსით არ იყო მოსალოდნელი და სხვა.

ძირითადი საშვალეების მდგომარეობის შეფასება, როგორც უკვე აღვნიშნე მიმდინარე თავის დასაწყისში, განახლების, ვარგისიანობისა და ცვეთის კოეფიციენტების მეშვეობით შეიძლება. მოვიყვანოთ შესაბამისი ფორმულები და გამოვთვალოთ მათი მნიშვნელობები საანალიზო საწარმოსათვის.

$$\text{განახლების კოეფიციენტი} = \frac{\text{შემენილი ახალი ძირითადი საშვალეები}}{\text{ძირითადი საშვალეების პირვანდელი ღირებულება}};$$

ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს ახალი ძირითადი საშვალეების წილს, მთლიანად ძირითად საშვალეებში. მისი ზრდა დადებითი მოვლენაა.

$$\text{ცვეთის კოეფიციენტი} = \frac{\text{დაგროვილი ცვეთა}}{\text{ძირითადი საშვალეების პირვანდელი ღირებულება}};$$

რაც უფრო დიდი იქნება ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა, მით უფრო ძველი იქნება ძირითადი საშვალელები.

$$\text{ვარგისიანობის კოეფიციენტი} = \frac{\text{ძირითადისაშვალელებისნარჩენილირეზერვულება}}{\text{ძირითადისაშვალელებისპირვანდელილირეზერვულება}} ;$$

ვარგისიანობის კოეფიციენტის მაღალი დონე ნიშნავს რომ ძირითადი საშვალელები ახალია. ანუ განახლების კოეფიციენტის მაღალი იქნება, რადგან ხშირად ხდება ძირითადი საშვალელების განახლება.


საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის შესწავლისა და ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებელი.

საწარმოს აქტივებისა და პასივების სტრუქტურის ოპტიმიზაცია მოგების გადიდების მიზნით, ცნობილია როგორც ფინანსური ლევერიჯის კონცეფცია.⁸

როდესაც იზრდება ნასესხები სახსრების წილი, იზრდება ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებელიც. ნასესხები სახსრების ზრდასთანაა დაკავშირებული საკუთარი კაპიტალის მერყეობა და ფინანსური რისკის ზრდა. ანუ ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებლის ზრდა რისკის ზრდას ნიშნავს.

არსებობს ორი სახის ლევერიჯი. ფინანსური და ოპერაციული.

სქემა 1.3.2



ფინანსური და ოპერაციული ლევერიჯის მეშვეობით შეგვიძლია განვსაზღვროთ კიდევ ერთი სიდიდე- კომბინირებული ლევერიჯი, რომელიც ფინანსური და ოპერაციული ლევერიჯების ნამრავლის ტოლია.

⁸ ი.ჭილაძე- ფინანსური ანალიზი. 2017წ. გვ. 118.

შესადარისობისათვის აუცილებელია, რომ მუდმივად გამოვიყენოთ თავდაპირველად შერჩეული კოეფიციენტი.

$$\text{ფინანსური ლევერიჯი} = \frac{\text{აქტივები}}{\text{საკუთარიკაპიტალი}};$$

რაც უფრო დიდი იქნება საკუთარ კაპიტალზე აქტივები, მით უფრო მაღალი იქნება ფინანსური ლევერიჯის სიდიდე. ე.ი აქტივებში ნასესხები სახსრების წილი დიდია და მაშასადამე დიდია ფინანსური რისკიც. არსებობს ფინანსური ლევერიჯის გამოთვლის ალტერნატიული ფორმულა

$$\text{ფინანსური ლევერიჯი} = \frac{\text{მოგება \% - ისდაგადასახადისგადახდამდე}}{\text{მოგებადაბეგვრამდე}};$$

კოეფიციენტის მაქსიმალური მნიშვნელობა 1-ის ტოლია. როდესაც ლევერიჯი ერთის ტოლია რისკი არ არსებობს. როდესაც კოეფიციენტი ერთს აღემატებ ესეიგი რისკი არსებობს. ზოგადად რაც უფრო მეტი ვალდებულება ექნება კომპანიას, ანუ რაც უფრო მეტი გრძელვადიანი სესხი ექნება აღებული, მით უფრო მეტი პროცენტის თანხა ექნება მას გადასახდელი. აქედან გამომდინარე უფრო მაღალი იქნება ლევერიჯის დონეც. ამდენად როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოზიდული სახსრების მაღალი დონე ფინანსური ლევერიჯის მაღალ დონეს ნიშნავს. საწარმოში, რომელიც მთლიანად საკუთარი სახსრებითაა დაფინანსებული, ფინანსური ლევერიჯი ერთის ტოლია. ამ დროს ამბობენ რომ ფინანსური რისკი არ არსებობს.

რაც შეეხება საოპერაციო ლევერიჯს, იგი საწარმოს დანახარჯების სტრუქტურას ასახავს ცვლად და მუდმივ დანახარჯებად დაყოფით. ხარჯს, რომელიც გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ცვლილების შესაბამისად იცვლება, ცვლადი ხარჯი ეწოდება. ხოლო ხარჯი რომელიც პროდუქციის მოცულობის პროპორციულად არ იცვლება მუდმივი ხარჯი ეწოდება. საწარმოში გვხვდება როგორც ცვლადი, ისე მუდმივი ხარჯები.

$$\text{ოპერაციული ლევერიჯი} = \frac{\text{მუდმივიხარჯები}}{\text{ცვლადიხარჯები}}; \text{ ან}$$

$$\text{ოპერაციული ლევერიჯი} = \frac{\text{\%-ისდაგადასახადისგადახდამდე მოგების \% - ულიცვლილება}}{\text{რეალიზაციის \% - ულიცვლილება}};$$

ფინანსური ლევერიჯისა და ოპერაციული ლევერიჯის გამრავლებით მივიღებთ კომბინირებულ ლევერიჯს, რომელიც ალტერნატიული მეთოდითაც შეგვიძლია გამოვთვალოთ:

$$\text{კომბინირებული ლევერიჯი} = \frac{\text{წმ.მოგებისპროცენტულიცვლილება}}{\text{რეალიზაციისპროცენტულიცვლილება}};$$

მოცემულ ქვეთავში განხილული კოეფიციენტებისა და მაჩვენებლების გარდა, მკვლევარ ანალიტიკოს შეუძლია კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე განიხილოს სხვა კოეფიციენტები და მაჩვენებლებიც.

თავი 2. სს „თელიანი ველი და შვილობილი კომპანიების“ გაკოტრების მეთოდებისა და მოდელების ანალიზი

2.1 საწარმოს რენტაბელობის ანალიზი

მოგება შეიძლება მივიჩნიოთ იმის ინდიკატორად, თუ რამდენად ეფექტიანად ფუნქციონირებს საწარმო. ბიზნეს საქმიანობა მოგების მიღების მიზნით ხორციელდება და მას იმდენად აქვს აზრი, რამდენადაც შეუძლია მოგების მოტანა. მოგების ზრდა როგორც საწარმოს ხელმძღვანელობისთვისაა მნიშვნელოვანი, ასევეა მასში დასაქმებული პირებისათვისაც. საანგარიშგებო წლის ბოლოს ფინანსური შედეგი შეიძლება იყოს მოგება ან ზარალი, რაც მთელ რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული. იმისათვის რომ საწარმო მოგებაზე გავიდეს საჭიროა რესურსების ეფექტური და გონივრული მართვა. სწორედ ესაა საწარმოს მენეჯმენტის მთავარი საზრუნავი. როგორ შეამცირონ დანახარჯები, როგორ გაზარდონ შემოსავლები, რა ფაქტორები ახდენს

გავლენას მოგებასა და მომგებიანობაზე, როგორ ამაღლდეს მომგებიანობა, ესაა ის ძირითად ამოცანები, რომელიც მენეჯმენტის წინაშე დგას.

მოგების მაჩვენებლები შეიძლება სხვადასხვა დონეზე გამოითვალოს:

- მოგება რეალიზაციიდან
- საოპერაციო მოგება
- მოგება დაბეგვრამდე
- წმინდა მოგება
- გაუნაწილებელი მოგება

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მაჩვენებელი არის მოგების აბსოლიტური მაჩვენებლები. ასევე არსებობს ფარდობითი მაჩვენებელი-მომგებიანობა ანუ რენტაბელობა. იგი მომგებიანობას პროცენტულად ახასიათებს და ხარისხობრივი მაჩვენებელია. მომგებიანობის მაჩვენებლები სხვადასხვა სიდიდეების მეშვეობით შეიძლება გამოითვალოს. მოვიყვანოთ ფორმულები და შემდეგ განსახილველი საწარმოს მაგალითზე გამოვითვალოთ თითოეული მათგანი.

$$\text{აქტივების მომგებიანობა} = \frac{\text{მოგება დაბეგვრამდე} * 100}{\text{აქტივებისჯამი}}$$

ეს მაჩვენებელი გამოსახავს პროცენტულ მოგებას ერთ ლარ აქტივზე. როგორც ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩანს ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად უარესდებოდა და ბოლო, 2017 წელს, უარყოფითი სიდიდის სახითაა წარმოდგენილი. ანუ ერთ ლარ აქტივზე მოგების მაჩვენებელი გაუარესდა რაც რათქმაუნდა უარყოფითი მოვლენაა. ანალოგიური მდგომარეობაა კაპიტალის უკუგების მაჩვენებლის შემთხვევაშიც, რომელიც შემდეგნაირად გამოითვლება:

$$\text{კაპიტალის უკუგება (ROCE)} = \frac{\text{მოგება \% - ის და გადასახადის გადახდამდე}}{\text{საკ. კაპიტალი + გრძელვადიანი ვალდებულებები}}$$

ეს კოეფიციენტი შეძენილი რესურსების მომგებიანობას გვიჩვენებს, ცხრილიდან კი ჩანს რომ მაჩვენებელი 2014 დან 2017 წლამდე პერიოდში კლებულობს და 2017 წელს -0.05%-ს შეადგენს. კაპიტალის უკუგების შემცირება უარყოფითი მოვლენაა.

შემდეგი კოეფიციენტი გვიჩვენებს იმ აქტივების ეფექტიანობას რომელიც პროდუქციის წარმოების პროცესში გამოიყენება

$$\text{წარმოების მომგებიანობა} = \frac{\text{საოპერაციომოგება*100}}{\text{მატერიალურიმარაგები+ძირითადისაშვალელები}}$$

შემდეგი ფორმულით გამოითვლება საოპერაციო ხარჯების მომგებიანობა:

$$\text{საოპერაციო ხარჯების მომგებიანობა} = \frac{\text{საოპერაციომოგება*100}}{\text{საოპერაციოხარჯები}}$$

ასევე განვიხილოთ შემდეგი კოეფიციენტებიც:

$$\text{აქტივების ფინანსური რენტაბელობა} = \frac{\text{წმინდამოგება*100}}{\text{აქტივები}}$$

რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენ პროცენტ მოგებას ნახულობს საწარმო აქტივებში ავანსირებულ ყოველ ერთ ლარზე. უკვე გამოთვლილი კოეფიციენტების მნიშვნელობებიდან გამომდინარე გასაკვირი არ არის რომ ამ კოეფიციენტის მნიშვნელობაც ნელნელა იკლებდა და 2017 წლის მონაცემებით ის -9%-ს შეადგენს. ანუ საწარმო აქტივებში ავანსირებულ ყოველ 1 ლარზე მოგების ნაცვლად დაახლოებით 9%-იან ზარალს ნახულობს.

$$\text{სააქციო კაპიტალის რენტაბელობა} = \frac{\text{წმინდამოგება*100}}{\text{სააქციოკაპიტალი}}$$

ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს აქციონერთა პოტენციურ შემოსავალს. გამოთვლების მიხედვით აქციონერთა პოტენციური შემოსავალი თანდათან კლებულობდა. 2017 წელს, 2014 წელთან შედარებით თითქმის სამჯერ შემცირდა და შემოსავლის ნაცვლად მივიღეთ ზარალი.

სს „თელიანი ველი და შვილობილი კომპანიების“ რენტაბელობის კოეფიციენტები.


ცხრილი 2.1.1

		2014	2015	2016	2017
1	მოგება დაბეგვრამდე	3424	2511	(251)	(14246)

2	აქტივები სულ	38020	37879	108076	158191
3	აქტივების მომგებიანობა (1*100):2	9%	6.6%	(0.2%)	(9%)
4	კაპიტალის უკუგება 5:(6+7)	0.1	0.04	0.09	-0.05
5	მოგება %-ის და გადასახადის გადახდამდე	2817	1138	4562	(6194)
6	საკუთარი კაპიტალი	18961	18958	42692	70338
7	გრძელვადიანი ვალდებულებები	9711	10423	7611	61482
8	წარმოების მომგებიანობა 9:(10+11)	0.23518	0.19858	0.02146	(0.0388)
9	საოპერაციო მოგება	4339	4325	1643	(4633)
10	მატერიალური მარაგები	8760	11807	8426	17122
11	ძირითადი საშვალელები	9690	9973	68134	102168
12	საოპერაციო ხარჯების მომგებიანობა 9:13	(0.3475)	(0.3886)	(0.1355)	0.20257
13	საოპერაციო ხარჯები	(12487)	(11131)	(12122)	(22871)
14	აქტივების ფინანსური რენტაბელობა (15:2)*100	6.6%	4.7%	(0.2%)	(9%)
15	წმინდა მოგება	2521	1767	(210)	(14246)
16	საქციო კაპიტალის რენტაბელობა (15:17)*100	327%	229%	(7.6%)	(274%)
17	სააქციო კაპიტალი	771	771	2771	5200

სს „თელიანი ველი და შვილობილი კომპანიების“ აქტივების მომგებიანობა და
კაპიტალის უკუგება

დიაგრამა 2.1.1



ცხრილში მოცემული კოეფიციენტების მნიშვნელობებიდან გამომდინარე საერთო სურათი მძიმეა. რენტაბელობის ყველა მაჩვენებელი პერიოდის განმავლობაში უარესდებოდა რაც კომპანიის მძიმე ფინანსურ მდგომარეობაზე მიუთითებს.

2.2 საწარმოს სტაბილურობის ანალიზი

ფინანსური სტაბილურობა ბიზნესის წარმატებული მომავლის გარანტიაა და საწარმოს საერთო სტაბილურობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია. ფინანსური სტაბილურობა მჭიდროდაა დაკავშირებული საკუთარი კაპიტალისა და მოზიდული სახსრების მაჩვენებლებზე. თუ ნასეხები კაპიტალი საკუთარ კაპიტალს გადააჭარბებს საწარმო ვერ შეძლებს ვალდებულებების დაფარვას თუ მას ყველა კრედიტორი ერთდროულად მოსთხოვს ვალდებულებების დაფარვას.

ფინანსური სტაბილურობის დასახასიათებლად გამოიყენება როგორც აბსოლუტური, ისე ფარდობითი მაჩვენებლები. განვიხილოთ ისინი და გამოვთვალოთ შესაბამისი სიდიდეები.

საკუთარი და მოზიდული სახსრების

$$\text{თანაფარდობის კოეფიციენტი} = \frac{\text{საკუთარიკაპიტალი}}{\text{მოზიდულიკაპიტალი}} ;$$

აღნიშნული კოეფიციენტის მინიმალური მნიშვნელობა 1-ის ტოლია და მისი ზრდა დადებით მოვლენაა, რაც ნიშნავს რომ საკუთარი კაპიტალის ხვედრითი წილი იზრდება.

შემდეგი კოეფიციენტია საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი რომელიც გრძელვადიანი გადახდისუნარიანობის მაჩვენებელია და გვიჩვენებს საკუთარი კაპიტალის წილს, მთლიანად აქტივებში.

$$\text{საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი} = \frac{\text{საკუთარიკაპიტალი}}{\text{აქტივებისჯამი}} ;$$

ზოგადად სასურველია რომ კოეფიციენტის მნიშვნელობა 0.5-ზე ნაკლები არ იყოს რომ საწარმომ ვალდებულებების დაფარვა საკუთარი სახსრებით შეძლოს, გამოთვლებიდან კი ჩანს რომ იგი 2015 წლის გარდა ყოველ წელს 0.5-ზე ნაკლები იყო. მართალია საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი 2017წელს გაიზარდა 2016 წელთან შედარებით, მაგრამ ის მაინც სასურველ დონეზე დაბლა რჩება.

$$\text{მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი} = \frac{\text{ვალდებულებები}}{\text{აქტივებისჯამი}} ;$$

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციისა და მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტების ჯამი 1-ის ტოლია. შესაბამისად, როდესაც მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი იზრდება, საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი მცირდება და პირიქით. 2017 წელს იგი აღემატება საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტს რაც უარყოფითი მოვლენაა.


სს „თელიანი ველი და შვილობილი კომპანიების“ სტაბილურობის კოეფიციენტები

ცხრილი 2.2.1

		2014	2015	2016	2017
1	საკუთარი კაპიტალი	18961	18958	42692	70338
2	ვალდებულებები	19059	18921	65384	87853
3	აქტივების ჯამი	38020	37879	108076	158191
4	საკ. კაპიტალის კონცენტრაციის კოეფ. 1:3	0.499	0.500	0.395	0.445
5	მოზიდული კაპ. კონცენტრაციის კოეფ. 2:3	0.501	0.500	0.605	0.555

სს „თელიანი ველი და შვილობილი კომპანიების“ საკუთარი და მოზიდული
კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტები

დიაგრამა 2.2.1



საწარმო, რომლის ნასესხები სახსრებიც საკუთარ კაპიტალს აჭარბებს მალე რისკით ხასიათდება. რისკის ხარისხის შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი მაჩვენებელი:

$$\frac{\text{საკუთარი კაპიტალის ფარდობა პერმანენტულ აქტივებთან}}{\text{საკუთარი კაპიტალი - პრივილეგირებულისა აქციო კაპიტალი}} = \frac{\text{აქტივები - მიმდინარე ვალდებულებები}}{\text{აქტივები - მიმდინარე ვალდებულებები}}$$

$$\frac{\text{საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფა}}{\text{საკუთარი კაპიტალი + გრძელვადიანი ვალდებულებები - გრძელვადიანი აქტივები}} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი + გრძელვადიანი ვალდებულებები - გრძელვადიანი აქტივები}}{\text{მიმდინარე აქტივები}}$$

ეს კოეფიციენტი ყოველწლიურად იკლებდა, 2016 წელს კი მკვეთრი ვარდნა განიცადა. მიუხედავად იმისა რომ 2017 წელს 2016 წელთან შედარებით კოეფიციენტის მნიშვნელობა მკვეთრად გაიზარდა, წინა წკლებთან შედარებით ის ისევ იკლებს.

$$\text{ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი} = \frac{\text{აქტივებისჯამი}}{\text{საკუთარიკაპიტალი}} ;$$

ამ კოეფიციენტის ზრდა რისკის ზრდაზე მიუთითებს, რადგან ის გვიჩვენებს რამდენჯერ აღემატება საკუთარ კაპიტალს აქტივები. როდესაც აქტივებში საკუთარი კაპიტალის წილი მცირდება ეს იმას ნიშნავს რომ კომპანია სხვებზე ხდება დამოკიდებული და მის ფინანსურ დამოკიდებულებასაც საფრთხე ექმნება. კოეფიციენტის მნიშვნელობა ყველა წლისათვის მაღალია, რაც დაბალ ფინანსურ სტაბილურობაზე მიუთითებს.

$$\text{საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი} = \frac{\text{სსს}}{\text{საკუთარიკაპიტალი}} ;$$

სადაც, სსს = მიმდინარე აქტივები - მიმდინარე ვალდებულებები ;

ამ კოეფიციენტის ნორმალური მნიშვნელობა იმაზეა დამოკიდებული თუ რომელ დარგშია წარმოდგენილი საწარმო. საწარმოსათვის ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად იკლებს. ისევე როგორც საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი, ეს კოეფიციენტიც 2016 წელს უარყოფითია, 2017 წელს კი ზრდას განიცდის, თუმცა 2014 წელთან შედარებით თითქმის 3-ჯერაა შემცირებული.

სს „თელიანი ველი და შვილობილი კომპანიების“ სტაბილურობის კოეფიციენტები


ცხრილი 2.2.2

		2014	2015	2016	2017
1	საკუთარი კაპიტალი	18961	18958	42692	70338
2	აქტივები	38020	37879	108076	158191
3	მიმდინარე აქტივები	26803	26502	38536	53642
4	გრძელვადიანი აქტივები	11217	11377	69540	104549

5	მიმდინარე ვალდებულებები	9348	8498	57773	26371
6	გრძელვადიანი ვალდებულებები	9711	10423	7611	61482
7	საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფა(1+6-4):3	0.651	0.679	(0.499)	0.508
8	ფინანსური დამოკიდებულების კოეფ.2:1	2.005	1.998	2.532	2.249
9	საკუთარი საბრუნავი სახსრები 3-5	17455	18004	(19237)	27271
10	საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფ 9:1	0.921	0.950	(0.451)	0.388

სს „თელიანი ველი და შვილობილი კომპანიების“ სტაბილურობის კოეფიციენტები

დიაგრამა 2.2.2



$$\text{გრძელვადიანი დაბანდების სტრუქტურის კოეფიციენტი} = \frac{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{გრძელვადიანი აქტივები}};$$

ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს გრძელვადიანი აქტივების რა ნაწილია დაფინანსებული გარე ინვესტორების მიერ. როგორც ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს 2017 წელს კოეფიციენტის მნიშვნელობა 2014 წელთან შედარებით შემცირებულია.

შემდეგი კოეფიციენტია გრძელვადიანი ვალდებულებების კონცენტრაციის კოეფიციენტი, რომლის ზრდაც უარყოფითი მოვლენაა რადგან გრძელვადიანი

ვალდებულებების ზრდა მიუთითებს იმაზე რომ საწარმო თანდათან დამოკიდებული ხდება სხვებზე.

$$\text{გრძელვადიანი ვალდებულებების კონცენტრაციის კოეფიციენტი} = \frac{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები} + \text{საკუთარი კაპიტალი}};$$

როგორც ცხრილიდან ჩანს კოეფიციენტის მნიშვნელობა 2017 წელს, 2014 წელთან შედარებით გაზრდილია. რაც რა თქმა უნდა უარყოფითი მოვლენაა.

შემდეგი კოეფიციენტი გვიჩვენებს გრძელვადიანი ვალდებულებების წილს, მთლიანად ვალდებულებებში. ამ კოეფიციენტის ზრდაც უარყოფითი მოვლენაა ვინაიდან საწარმო ნაკლებ მობილური ხდება და თუკი მას ყველა კრედიტორი ერთდროულად მოსთხოვს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შეიძლება ვერ შეძლოს.

$$\text{მოზიდული კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტი} = \frac{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{ვალდებულებები}};$$

აღნიშნული კოეფიციენტის მნიშვნელობა 2014-2015 წლებში შედარებით სტაბილურია, 2017 წელს კი იგი 0.7-ს აღწევს რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია და საწარმოს რთულ ფინანსურ მდგომარეობაზე მიუთითებს.

$$\text{პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი} = \frac{\text{მოგება \% - ის და გადასახადის გადახდამდე}}{\text{საპროცენტო თანხა}};$$

პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი მნიშვნელოვანი კოეფიციენტია რადგან ის ფინანსური რისკის ხარისხსაც აჩვენებს. მისი შემცირება ფინანსური რისკის ზრდას მოასწავებს. გამოთვლებიდან ჩანს რომ 2017 წელს ფინანსური რისკი მნიშვნელოვად გაიზარდა.

$$\text{მარაგების დაფარვის კოეფიციენტი} = \frac{\text{დაფინანსების ნორმალური წყაროები}}{\text{მატერიალური მარაგები}};$$

$$\text{საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფა} = \frac{\text{საკუთარი საბრუნავი სახსრები}}{\text{მატერიალური მარაგები}};$$

დინამიკაში ეს კოეფიციენტიც შემცირებულია რაც ნიშნავს რომ მატერიალური მარაგების სულ უფრო და უფრო მცირე ნაწილი იფარება საკუთარი საბრუნავი სახსრებით, რაც რა თქმა უნდა თავის მხრივ უარყოფითი მოვლენაა.

სს „თელიანი ველი და შვილობილი კომპანიების“ სტაბილურობის კოეფიციენტები

ცხრილი 2.2.3

		2014	2015	2016	2017
1	საკუთარი კაპიტალი	18961	18958	42692	70338
2	გრძელვადიანი აქტივები	11217	11377	69540	104549
3	გრძელვადიანი ვალდებულებები	9711	10423	7611	61482
4	ვალდებულებები მთლიანად	19059	18921	65384	87853
5	მოგება %-ის და გადასახადის გადახდამდე	2817	1138	4562	-6194
6	საპროცენტო თანხა	685	1091	659	642
7	მატერიალური მარაგები	8760	11807	8426	17122
8	საკუთარი საბრუნავი სახსრები	17455	18004	(19237)	27271
9	გრძელვადიანი დაბანდების სტრუქტურის კოეფიციენტი 3:2	0.866	0.916	0.109	0.588
10	გრძელვადიანი ვალდებულებების კონცენტრაციის კოეფიციენტი 3:(3+1)	0.339	0.355	0.151	0.466
11	მოზიდული კაპიტალის სტრუქტურის კოეფიციენტი 3:4	0.510	0.551	0.116	0.700
12	პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი 5:6	4.112	1.043	6.923	(9.648)
13	საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფა 8:7	1.993	1.525	(2.283)	1.593

ზემოთ განხილული არცერთი კოეფიციენტის მაჩვენებელი არ მიუთითებს საწარმოს სტაბილურ მდგომარეობაზე. სამწუხაროდ გასულ წლებთან შედარებით 2017 წელს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა.

2.3 საწარმოს გაკოტრების ანალიზი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ 2016 წელს მიღებული კანონი ადგენს საერთაშორისო დონეზე აღიარებული სტანდარტების შესაბამისად, საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების და ამ კანონით გათვალისწინებული სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგების მომზადების და წარდგენის, პროფესიული სერტიფიცირების, აუდიტორული საქმიანობის განხორციელების და მისი ხარისხის უზრუნველყოფის, აღნიშნულ სფეროებზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების და პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივ საფუძვლებს.

„გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ კანონი, რომელიც ძალაში პირველად 1996 წელს შევიდა, არეგულირებს ყველა სამართლებრივ პროცედურას, გაკოტრების საქმის განცხადების სასამართლოში შეტანის მომენტიდან, გაკოტრების დამთავრების მომენტამდე.

საქართველოს კანონში გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ მუხლ 3-ში ვკითხულობთ რომ გაკოტრების საქმის წარმოება არის- საპროცესო და ხელმძღვანელობითი მოქმედებების ერთობლიობა რომელიც ხორციელდება ამ კანონის შესაბამისად და მიზნად ისახავს კრედიტორთა მოთხოვნის კანონით დადგენილი წესითა და პირობებით შესაძლოდ სრულ დაკმაყოფილებას უმთავრესად სამეურვეო ქონების რეალიზაციის გზით. ზოგადად, გადახდისუუნარობა არის მოვალის უუნარობა დააკმაყოფილოს ვადამოსული მოთხოვნები. იგი გულისხმობს სამეწარმეო

საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტის უუნარობას გადახდის დადგენილი ვადის გასვლისთვის შეასრულოს კრედიტორის წინაშე ნაკისრი ფულადი ვალდებულებები. გადახდისუუნარობა შეიძლება გახდეს გაკოტრების პროცედურების ინიცირების საფუძველი თუ დროულად არ იქნება მიღებული შესაბამისი ზომები. საწარმოს გაკოტრება მომენტალურად არ ხდება. ეს გამოწვეულია მთელი რიგი ჯაჭვური პროცესებით. თუმცა აღსანიშნავია რომ ამას პირველ რიგში არასწორად დაგეგმილი ფინანსური ხარჯები და ვალდებულებები იწვევს. ხშირად ერთი ვალდებულების დასაფარად მეორე ვალდებულებას იღებენ, შედეგად არამდგრად ფინანსურ მდგომარეობაში მყოფი საწარმო ნელნელა კარგავს ფინანსურ შესაძლებლობებს და როდესაც ის მთლიანად ფინანსური შესაძლებლობების გარეშე რჩება, ანუ აღარ შესწევს გადახდისუნარიანობის აღდგენის უნარი-კოტრდება. ამ დროს აღარ გააჩნია საწარმოს პოტენციური და წარმოებული პროდუქცია კონკურენტუნაროა.

მოსალოდნელი რისკების პრევენციისთვის აუცილებელია საწარმოს ფინანსური პროცესების მუდმივი კონტროლი რადგან რაც უფრო ადრე გამოვლინდება საწარმოს გაკოტრების ტენდენცია მით უფრო დიდი იქნება ალბათობა რომ იგი ამ კრიზისს გადალახავს.

სწორი დასკვნების გასაკეთებლად მნიშვნელოვანია სწორად შეირჩეს ანალიზისთვის საჭირო მაჩვენებლები. შემდეგ ქვეთავებში განვიხილოთ მოდელები, რომლებიც გაკოტრების ანალიზისათვის გამოიყენება:

ალტმანის Z მოდელი

ალტმანის Z მოდელი არის მათემატიკური ფორმულა, რომელიც გამოთვლის კრედიტუნარიანობის ინდექსს. ედუარდ ალტმანმა იგი 1968 წელს მიიღო ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე რომელიც 66 კომპანიას შეეხებოდა. Z მოდელის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. ერთ-ერთი ყველაზე მარტივი მოდელია ალტმანის ორფაქტორიანი მოდელი და იგი შემდეგნაირად გამოიყურება:

$$Z = -0.3877 - 1.0736K_1 + 0.579K_2$$

სადაც K_1 - მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი, ხოლო

K_2 - ნასესხები კაპიტალი/ვალდებულებები

ანუ ეს მოდელი დამოკიდებულშია ორ მაჩვენებელზე: მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტზე და ვალდებულებებში ნასესხები კაპიტალის წილზე.

Z-ის მნიშვნელობიდან გამომდინარე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნები: თუ $Z > 0$, მდგომარეობა კრიტიკულია და გაკოტრების დადგომის ალბათობაც მაღალია, ხოლო თუ $Z = 0$ ალბათობა 50%-ზე ნაკლებია.

ყველაზე პოპულარული ალტმანის მოდელებს შორის მისი ხუთფაქტორიანი მოდელია რომელიც მეცნიერმა 1968 წელს გამოაქვეყნა.

$$Z = 1.2X_1 + 1.4X_2 + 3.3X_3 + 0.6X_4 + X_5$$

სადაც: X_1 - სამუშაო კაპიტალი / მთლიანი აქტივები;

X_2 - გაუნაწილებელი მოგება / მთლიანი აქტივები;

X_3 - მოგება %-ის და გადასახადის გადახდე / მთლიანი აქტივები;

X_4 - კაპიტალის საბაზრო ღირებულება / ვალდებულებები;

X_5 - გაყიდვები / მთლიანი აქტივები.

თუ $Z < 1.81$ გაკოტრების ალბათობაა 80-100%

თუ $1.81 < Z < 2.77$ საშუალო ალბათობაა 35-50%

თუ $2.77 < Z < 2.99$ დაბალი ალბათობაა 15-20%

თუ $Z > 2.99$ სტაბილური სიტუაციაა და გადახდის უუნარობის რისკი უახლოესი 2 წლის განმავლობაში ძალიან დაბალია.

ამ მოდელის სიზუსტე ერთი წლის განმავლობაში 95%, ორი წლის განმავლობაში კი-83%. რაც ამ მოდელის ერთ-ერთი ღირსებაა. რაც შეეხება ნაკლოვანებას ისაა რომ მისი

არსებობა შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ მსხვილ კომპანიებთან ურთერთობისას, რომლებსაც საკუთარი აქციები საფონდო ბირჟებზე აქვთ განთავსებული.

გამოვითვალეთ Z-ის მნიშვნელობა ყოველი წლისათვის, ალტმანის ხუთფაქტორიანი მოდელის მიხედვით.

ალტმანის ხუთი ფაქტორი სს „თელიანი ველი და შვილობილი კომპანიებისათვის“

ცხრილი 2.3.1

		2014	2015	2016	2017
1	სამუშაო კაპიტალი	17455	18004	(19237)	27271
2	მთლიანი აქტივები	38020	37879	108076	158191
3	გაუნაწილებელი მოგება	3138	4905	2814	(11829)
4	მოგება %-ის და გადასახადის გადახდამდე	2817	1138	4562	(6194)
5	კაპიტალის საბაზრო ღირებულება	18961	18958	42692	70338
6	ვალდებულებები	19059	18921	65384	87853
7	გაყიდვები	34953	(14482)	29793	54975
8	$X_1 (1:2)$	0.45910047	0.475303	(0.178)	0.17239
9	$X_2 (3:2)$	0.08253551	0.129491	0.02604	(0.0748)
10	$X_3 (4:2)$	0.07409258	0.030043	0.04221	(0.0392)
11	$X_4 (5:6)$	0.99485807	1.001955	0.65294	0.80063
12	$X_5(7:2)$	0.91933193	(0.382323)	0.27567	0.34752


როგორც ქვემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს 2014 წელს გაკოტრების ალბათობა საშვალო იყო, შემდეგ წლებში გაკოტრების ალბათობა გაიზარდა და 2017 წელს მნიშვნელობა 0.8 დაფიქსირდა. როდესაც $Z < 1.81$ გაკოტრების ალბათობაა 80-100%-ია. ალტმანის კოეფიციენტის მიხედვით გამოდის რომ საწარმო გაკოტრებისპირასაა.

ალტმანის Z კოეფიციენტი - სს „თელიანი ველი და შვილობილი კომპანიები“

ცხრილი 2.3.2

მაჩვენებელი	2014	2015	2016	2017
Z	2.43	1.07	0.63	0.8

დიაგრამა 2.3.1



ალტმანის მესამე მოდელი არის იმ კომპანიებისთვის, რომლებიც აქციებით არ ვაჭრობენ საფონდო ბირჟებზე. ეს მოდელი 1983 წელს იქნა გამოქვეყნებული და ალტმანის მოდიფიცირებული ხუთფაქტორიანი მოდელის სახელითაა ცნობილი.

$$Z=0.717X_1+0.847X_2+3.107X_3+0.42X_4+0.995X_5$$

სადაც X_1 - სამუშაო კაპიტალი / მთლიანი აქტივები;

X_2 - გაუნაწილებელი მოგება /მთლიანი აქტივები;

X_3 - მოგება %-ის და გადასახადის გადახდე / მთლიანი აქტივები;

X_4 - საკუთარი კაპიტალის საბალანსო ღირებულება /ნასესხები კაპიტალი;

X_5 - გაყიდვები / მთლიანი აქტივები.

თუ $Z < 1.23$ გარემოებები მიუთითებს გაკოტრებაზე

თუ $1.23 < Z < 2.89$ სიტუაცია განუსაზღვრელია

თუ $Z > 2.9$ სიტუაცია სტაბილურია და გაკოტრების მცირე ალბათობა არსებობს.

ალტმანის მოდიფიცირებული მოდელის Z კოეფიციენტი - სს „თელიანი ველი და შვილობილი კომპანიები“

ცხრილი 2.3.3

მაჩვენებელი	2014	2015	2016	2017
Z მოდიფიცირებული	1.97	0.58	0.58	0.62

თუ $Z < 1.23$ გარემოებები მიუთითებს გაკოტრებაზე, მოდიფიცირებული კოეფიციენტის მნიშვნელობა კი თითქმის 2-ჯერ ნაკლებია Z-ის მაქსიმალურ მნიშვნელობაზე ამ შუალედში, რაც გარდაუვალ გაკოტრებაზე მიუთითებს.

სპრინგეიტის მოდელი

ალტმანის მოდელზე დაფუძნებით და ნაბიჯობრივი დისკრიმინანტული ანალიზის მეშვეობით 1978 წელს გორდონ სპრინგეიტმა დაამუშავა გაკოტრების ალბათობის პროგნოზირების მოდელი. მოდელის შემუშავების პროცესში სპრინგეიტმა თავდაპირველად არჩეული 19 ფინანსური კოეფიციენტისაგან დატოვა მხოლოდ ოთხი კოეფიციენტი, რომლებზეც აშენდა მოდელი.

გაკოტრების ალბათობის შეფასების სპრინგეიტის მოდელს აქვს შემდეგი ფორმულის სახე:

$$Z = 1.03A + 3.07B + 0.66C + 0.4D$$

სადაც, A = საბრუნავიკაპიტალი/აქტივებისჯამი ;

B = მოგება % – ისდაგადასახადისგადახდამდე/აქტივებისჯამი ;

C = მოგება % – ისდაგადასახადისგადახდამდე/მოკლევადიანივალდებულებები ;

D = ამონაგებირეალიზაციიდან(ნეტო)/აქტივებისჯამი ;

სპრინგეიტის ოთხი ფაქტორი სს „თელიანი ველი და შვილობილი კომპანიებისთვის“

ცხრილი 2.3.4

		2014	2015	2016	2017
1	საბრუნავი კაპიტალი	17455	18004	(19237)	27271
2	აქტივების ჯამი	38020	37879	108076	158191
3	A (1:2)	0.46	0.48	(0.18)	0.17
4	მოგება %-ის და გადასახ. გადახდამ.	2817	1138	4562	(6194)
5	B (4:2)	0.07	0.03	0.04	(0.04)
6	მოკლევადიანი ვალდებულებები	9348	8498	57773	26371
7	C (4:6)	0.30	0.13	0.08	(0.23)
8	ამონაგები რეალიზაციიდან	17177	16294	14019	20542
9	D (8:2)	0.45	0.43	0.13	0.13


სპრინგეიტის Z კოეფიციენტი - სს „თელიანი ველი და შვილობილი კომპანიები“

ცხრილი 2.3.5

		2014	2015	2016	2017
1	სპრინგეიტის Z კოეფიციენტი	1.08	0.84	0.05	(0.05)

როგორც ცხრილიდან ჩანს 2015 წელიდან დაწყებული საწარმო გაკოტრების მაღალი რისკით ხასიათდება და ეს რისკი ყოველწლიურად იზრდება. საბოლოოდ 2017 წლს კოეფიციენტის მნიშვნელობა უარყოფითი ხდება და ზონის მაქსიმუმზე $Z < 0.862$ ბევრად ნაკლებია. ისევე როგორც ალთმანის კოეფიციენტი, სპრინგეითის კოეფიციენტიც გაკოტრებაზე მიუთითებს.

დიაგრამა 2.3.2



თუ $Z < 0.862$ არსებობს მაღალი ალბათობა, რომ გადახდისუნარობა მალე დადგება და საწარმოს გაკოტრების ალბათობაც ძალიან მაღალია.

სპეციალისტების შეფასებით სპრინგეიტის მოდელის სიზუსტე 92.5% რაც 40 კომპანიის მაჩვენებლებს ეყრდნობა.

დეპალიანის მეთოდი „კრედიტ-მენი“

ჟ. დეპალიანმა შეიმუშავა მეთოდი, რომლის თანახმადაც ორგანიზაციაში ფინანსური მდგომარეობა შეიძლება დავახასიათოთ ხუთი მაჩვენებლის მიხედვით. საწარმოს გადახდისუნარიანობის შესამოწმებლად გამოიყენება ფორმულა:

$$N = 25R_1 + 25R_2 + 10R_3 + 20R_4 + 20R_5$$

სადაც თითოეული R_i გამოითვლება შემდეგნაირად:

R_i =შესასწავლი ორგანიზაციის კოეფ. მნიშვნ. / კოეფიციენტის ნორმატიული მნიშვნ.

თუ $N=100$, მაშინ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა ნორმალურად ვითრდება

თუ $N>100$, მაშინ სიტუაცია ხელსაყრელია

ხოლო, თუ $N<100$ სიტუაცია არახელსაყრელია.

1. სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი =

$$\frac{\text{დებ. დავალიანება} + \text{ფულადისახსრები} + \text{მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}}$$

2. კრედიტუნარიანობის კოეფიციენტი = $\frac{\text{კაპიტალი დარეზერვები}}{\text{მთლიანი ვალდებულებები}}$;

3. საკუთარი კაპიტალის ლიკვიდურობის კოეფიციენტი =

$$\frac{\text{კაპიტალი დარეზერვები}}{\text{არაბრუნვადი აქტივების სწრაფი ლიკვიდურობა}}$$

4. მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი = $\frac{\text{რეალიზებული საქონლის თვითღირებულება}}{\text{მარაგები}}$;


5. დებიტორული დავალიანების ბრუნვის კოეფიციენტი = $\frac{\text{ამონაგები რეალიზაციიდან (ნეტო)}}{\text{დებიტორული დავალიანება}}$;

დეპალიანის N კოეფიციენტი- სს „თელიანი ველი და შვილობილი კომპანიები“

ცხრილი 2.3.6

		2014	2015	2016	2017
1	დეპალიანის N კოეფიციენტი	97	71	31.5	28.5

დიაგრამა 2.3.3



N კოეფიციენტის მნიშვნელობა თანდათან მცირდება, რაც სიტუაციის არახელსაყრელობაზე მიუთითებს.

დიუპონტის მოდელი

დიუპონტის მოდელი იკვლევს კომპანიის საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების ეფექტურობის დინამიკას. Dupont მოდელი ფართოდ გამოიყენება ფინანსური კოეფიციენტების ანალიზში, რათა განისაზღვროს კომპანიის პოტენციური რამდენადაა შესაძლებელი გაზარდოს საკუთარი კაპიტალის ბრუნვის მაჩვენებელი. თავდაპირველი დიუპონტის მეთოდიკა გამოიყენებოდა აქტივების გამოყენების ეფექტურობის შესაფასებლად. ორფაქტორიანი მოდელის მთავარი მაჩვენებელი იყო ROA ანუ აქტივების დაბრუნების მაჩვენებელი. დიუპონტის ორფაქტორიანი მოდელის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. განვიხილოთ ერთ-ერთი მათგანი:

$$ROE = ROA * LR$$

სადაც, ROA- აქტივების შემოსავლიანობაა,

LR- ფინანსური ბერკეტის კოეფიციენტი ანუ კაპიტალიზაციის კოეფიციენტი

ROE- სააქციო კაპიტალის შემოსავლიანობა.

ასევე არსებობს დიუპონტის სამფაქტორიანი მოდელი, რომელიც გვიჩვენებს საწარმოს საოპერაციო საქმიანობის მომგებიანობის გავლენას საინვესტიციო და ფინანსურ მაჩვენებლებზე. როგორც ვხედავთ კომპანიის გაყიდვების სისტემის ეფექტურობა პირდაპირ განისაზღვრავს საკუთარი კაპიტალის დაბრუნების მაჩვენებელს და კომპანიის საინვესტიციო მიზიდულობას.

$$ROE = NPM * AT * LR$$

სადაც, LR- ფინანსური ბერკეტის კოეფიციენტი

AT- აქტივების ბრუნვა

NPM-კაპიტალის რენტაბელობა.

ავაგოთ ორფაქტორიანი მოდელი. ასაგებად დაგვჭირდება ROA და LR კოეფიციენტების გამოთვლა.


სს „თელიანი ველი და შვილობილი კომპანიები“-ის ROA, LR და ROE კოეფიციენტები

ცხრილი 2.3.7

		2014	2015	2016	2017
1	წმინდა მოგება	2521	1767	(210)	(14246)
2	აქტივები	38020	37879	108076	158191
3	ROA (1:2)	0.066	0.047	(0.002)	(0.090)
4	გრძელვადიანი ვალდებულებები	9711	10423	7611	61482
5	კაპიტალი	18961	18958	42692	70338
6	LR კაპიტალიზაციის კოეფ. 4:(4+5)	0.339	0.355	0.151	0.466
7	ROE (3*6)	0.022	0.017	(0.0002)	(0.0420)

ROE კოეფიციენტისათვის ავაგოთ დიაგრამა:

დიაგრამა 2.3.4



როგორც დიაგრამიდან ჩანს სააქციო კაპიტალის შემოსავლიანობა თანდათან იკლებს რაც ზემოთ უკვე აგებული, გაკოტრების მოდელების შედეგებიდან გამომდინარე ლოგიკურიცაა.

დიუპონის მოდელის მთავარი ნაკლოვანება ის არის რომ ანალიზისას საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების მონაცემებს, რომელიც შეიძლება დამახინჯებული იყოს კომპანიის მიერ დაფარვის მიზნით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შედეგი სწორი იქნება მაშინ, თუ ფინანსური ანგარიშგება სწორად იქნება მომზადებული.

ბოლოს, რომ შევაჯამოთ დიუპონის მოდელი, მისი მოდიფიკაცია სამ და ხუთფაქტორიან ფორმულებად საშვალებას აძლევს კომპანიას სწრაფად შეაფასოს სხვადასხვა ფაქტორების გავლენის ხარისხი კომპანიის საკვანძო მაჩვენებლებისა და ღირებულებების ფორმირებისას.

დასკვნა

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება და გაკოტრების თავიდან აცილება საწარმოს მენეჯმენტის უმთავრესი ამოცანაა. იმისათვის რომ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ წარმოდგენა შევიქმნათ ფინანსური ანგარიშგების ანალიზი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია, რადგან მასში აირეკლება ის პროცესები, რომლებიც რეალურად საწარმოში მიმდინარეობს. გამოთვლილმა კოეფიციენტებმა და გაკეთებულმა დასკვნებმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის შეუცვლელიობას. სწორედ მასზე დაყრდნობით ჩავატარე საწარმოს მოთხოვნებისა და ვალდებულებების, ასევე ქონებრივი მდგომარეობის ანალიზი თეორიულ ასპექტებთან შერწყმით.

საწარმოს მოთხოვნებისა და ვალდებულებების ანალიზმა აჩვენა რომ 2015 წელს, წინა წელთან შედარებით დებიტორული დავალიანებების ამოღების პერიოდი შემცირდა ანუ წელიწადში დაფარვა ხდება დაახლოებით 2.9-ჯერ. შესაბამისად გაიზარდა დღეების რიცხვიც დაახლოებით 20 დღით. ამდენად საწარმოში ამ ორი წლის ინფორმაციაზე დაყრდნობით წინა წელთან შედარებით დებიტორული დავალიანებების ბრუნვის მაჩვენებლები გაუარესდა. თუ ამ მაჩვენებლებს დინამიკაში დავაკვირდებით დავინახავთ რომ გაუარესების ტემპი გაიზარდა და 2017 წელ, 2014 წელთან შედარებით დებიტორული დავალიანების ამოღების პერიოდი 4,3 ჯერ შემცირდა, რის ხარჯზეც დღეების რიცხვიც კოლოსალურად გაიზარდა. საბოლოო ჯამში მივიღეთ დებიტორული დავალიანების ბრუნვის მაჩვენებლების მკვეთრი გაუარესება. როგორც უკვე ვთქვით, ვადაგადაცილებული დავალიანებების არსებობა აუარესებს საწარმოს გადახდისუნარიანობის დონეს. ამდენად, ის დებიტორული დავალიანებების ინკასაციის მაჩვენებლებზეც უარყოფითად მოქმედებს.

კომპანიის ვალდებულებების სტრუქტურულმა და დინამიკურმა ანალიზმა აჩვენა რომ ყოველ წელს გრძელვადიანი ვალდებულებების ხვედრითი წილი მოკლევადიანი ვალდებულებების ხვედრით წილზე მეტი იყო. ასევე გრძელვადიანი ვალდებულებები წინა წელთან შედარებით უფრო მეტად იზრდებოდა ვიდრე მოკლევადიანი ვალდებულებები. რაც ორივე შემთხვევაში უარყოფით მოვლენას წარმოადგენს.

ასევე, მთლიანი ვალდებულებები 2014 წლის დონესთან შედარებით 2017 წელს 4,6-ჯერ გაიზარდა, ლევერიჯის კოეფიციენტი 2016 წელთან შედარებით მართალია შემცირდა მაგრამ 2014 წლის დონესთან შედარებით გაზრდილია, გაზრდილია მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტიც, ისევე როგორც სესხის გრძელვადიანი მოზიდვის კოეფიციენტი. მართალია ეს კოეფიციენტები 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით უკეთეს მდგომარეობას ასახავს, მაგრამ დინამიკაში 2014 წელთან შედარებით ყველა მაჩვენებელი გაუარესებულია. და რაც ყველზე მთავარია, საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული სახსრები უარყოფითი სიდიდის სახითაა წარმოდგენილი. აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით კომპანიის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა.

საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის ანალიზმა აჩვენა რომ, მართალია აქტივების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა, მაგრამ მასში მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივების ხვედრითი წილების გადანაწილება სახარბიელო არ იყო. მიმდინარე აქტივების ხვედრითი წილი ყოველწლიურად კლებულობდა რის ხარჯზეც, გრძელვადიანი აქტივების ხვედრითი წილი გაიზარდა. მიმდინარე აქტივების ხვედრითი წილის დაბალი მაჩვენებელი ნიშნავს რომ კომპანია ნაკლებ მოქნილია ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რაც თავისმხრივ უარყოფითი მოვლენაა. ვალდებულებები 2017 წელს, 2014 წელთან შედარებით გაზრდილია. მართალია დინამიკაში საკუთარი კაპიტალის მაჩვენებლებიც იზრდებოდა, მაგრამ ნაკლები სიდიდით და შედეგად 2017 წელს, საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი (0.45), ნაკლები აღმოჩნდა მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტზე (0.56). როგორც ზემოთაც ვახსენეთ მოზიდული კაპიტალის მაღალი დონე სასურველი არ არის.

არანაკლებ რთულ სურათს ასახავს საწარმოს რენტაბელობის ანალიზი. გამოთვლილი რენტაბელობის კოეფიციენტების მნიშვნელობებიდან გამომდინარე საერთო სურათი მძიმეა. რენტაბელობის ყველა მაჩვენებელი პერიოდის განმავლობაში უარესდებოდა რაც კომპანიის მძიმე ფინანსურ მდგომარეობაზე მიუთითებს.

სტაბილურობის კოეფიციენტების მნიშვნელობებიც არ მიუთითებს საწარმოს სტაბილურ მდგომარეობაზე. ამ კოეფიციენტების მიხედვით გასულ წლებთან შედარებით 2017 წელს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა.

ცნობილი მოდელების მიხედვით ჩატარებული საწარმოს გაკოტრების ანალიზის შედეგები, ზემოთ გამოთვლილი კოეფიციენტებით შექმნილ სურათს ასახავს. ალტმანის, სპრინგეითის, დეპალიანისა და დიუპონის მოდელების მიხედვით საწარმო უახლოეს პერიოდში უნდა გაკოტრდეს.

საბოლოოდ რომ შევაჯამოთ, ანალიზის პროცესში გამოთვლილი არცერთი მნიშვნელოვანი კოეფიციენტი არ მიუთითებს საწარმოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. საწარმო საქმიანობის კრახით დასრულება გარდაუვალია.

რაც შეეხება რეალურ ფაქტებს 2018 წლის 20 ივნისიდან ვაჭრობიდან მოიხსნას „თელიანი ველი“ (ს/ნ 203855444, საბირჟო კოდი - [WINE](#)) აქციები, „საქართველოს საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების შესახებ“ დებულების 5.12.8 პუნქტის და 6.10.2 პუნქტის თანახმად.

„თელიანი ველი და შვილობილი კომპანიების“ ერთ-ერთი შვილობილი კომპანიაა „თელიანი თრეიდინგ უკრაინა“. სწორედ ამ შვილობილს უკავშირდება 2016 წლის საანგარიშგებო პერიოდის ზარალით დასრულება. კომპანიის მენეჯმენტის განმარტებით 2016 წლის საანგარიშგებო პერიოდის ზარალით დასრულება განაპირობა როგორც, 2015 წლის ბოლოს მიმდინარე „უკრაინის კრიზისმა“ ასევე სავალუტო კურსის ცვლილებამ. უცხოური ვალუტის გადაყვანის შედეგად მიღებულმა წმინდა ზარალმა 2.3 მილიონი ლარი შეადგინა.

ასევე კომპანიის ერთ-ერთ შვილობილთან, კერძოდ „გლობალ ბიერ ჯორჯია“-სთანაა დაკავშირებული 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის ზარალით დასრულება, რადგან კომპანიამ მატერიალური, მარკეტინგული და სადისტრიბუციო ხარჯი გაწია 2017 წლის ივლისში ქართული ლუდის ბაზარზე ეფექტურად შესვლელად.

საკუთრივ კომპანია თელიანი ველი არ არის ზარალიანი კომპანია. კომპანიის საანგარიშგებო წლის ზარალით დასრულება გამოწვეულია შვილობილი კომპანიების

ფინანსური შედეგებით. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ რომ კომპანიისათვის „გაერთიანება“ წამგებიანი აღმოჩნდა.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენს მიერ მიღებული Z- მნიშვნელობები მეტ-ნაკლებად სს „თელიანი ველი და შვილობილი კომპანიები“ -ს გაკოტრების პროგნოზირების ფაქტობრივ სურათს გვიჩვენებს.

მიუხედავად ამისა 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების მიხედვით „გლობალ ბეარ ჯორჯიას“ ბაზრის 12.4% ეჭირა და 2020 წლისათვის ამ მაჩვენებლის 25%-მდე ზრდას ელიან. 2019 წლის გაზაფხულზე კომპანიამ „ყაზბეგის“ ბრენდი და კომერციული აქტივები შეიძინა. „ყაზბეგი“ საქართველოს ლუდის ბაზარზე მეხუთეა სიდიდით, ასევე კომპანიამ 2019 წლის გაზაფხულზე კიდევ ერთი ახალი ლუდის „კაიაკის“ ჩამოსხმა დაიწყო. აღნიშნულის ფონზე, ვფიქრობ რომ კომპანია დასახულ მიზანს მიაღწევს 2020 წლისათვის, რადგან ის უკვე აწარმოებს და დისტრიბუციას უწევს საქართველოს ლუდის ბაზარზე არსებულ რამდენიმე „მსხვილ“ ბრენდს.

ნაშრომში გამოთვლილი კოეფიციენტების მნიშვნელობებიდან და გამოტანილი დასკვნებიდან გამომდინარე კომპანიას შეგვიძლია გავუწიოთ შემდეგი რეკომენდაციები:

- დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების მენეჯმენტი [პირობების გადახედვა და შემსუბუქება/გამკაცრება]
- კლიენტთა „საკრედიტო რეიტინგის“ შემუშავება;
- „უიმედო დავალიანებების“ წარმოქმნის რისკის შემცირება.
- ფინანსური დანახარჯების გადახედვა და ოპტიმიზაცია [სესხების შესაძლო რესტრუქტურირება];
- ფინანსური დამოუკიდებლობის ზრდა.
- შიდა/გარე წყაროებიდან დაფინანსების თანაფარდობის გადახედვა
- ფულადი ნაკადების გადინების კონტროლი (გადავადებული დივიდენდები).

- მოზიდული სახსრების მიზნობრიობის ოპტიმიზაცია.
- ფინანსური კონცენტრაციის კოეფიციენტების პერიოდული და სავალდებულო მონიტორინგი.

აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ საწარმოს მნიშვნელოვანი მაჩვენებლები გაუმჯობესდეს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დოლიაშვილი თ. ლილუაშვილი გ.- ბუღალტრული აღრიცხვა, თბილისი 2015წ.
2. თეთრუაშვილი მ. თეთრუაშვილი ი. - ფინანსური მენეჯმენტი - გორი 2007წ.
3. ლომსაძე ე. მელიქიძე ც. წამალაშვილი ე. - ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოებში, თბილისი 2010წ.
4. მუნჯიშვილი თ. -
საწარმოს ფინანსური მდგრადობის შეფასების ადაგაკოტრების პროგნოზის ეკონომიკურმათემატიკური მოდელის შემუშავებას იმულაციური მეთოდით, თბილისი 2019წ.
5. ჭილაძე ი. - ფინანსური ანალიზი, გამომცემლობა მერანი, თბილისი 2017წ.
6. ხორავა ა. კვატაშიძე ნ. სრესელი ნ. გოგრიჭიანი ზ. - ბუღალტრული აღრიცხვა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2011წ.
7. ჯიქია მ. - ეკონომიკური ანალიზი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2018წ.
8. ჯიქია მ. ჩეჩელაშვილი რ. ბურდული ფ. - ეკონომიკური ანალიზი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2010წ.
9. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 1 - ბასს 1 – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“
10. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 7 - ბასს 7 – „ფულადისახსრების მოძრაობის ანგარიშგება“
11. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 9 - ფასს 9 - „ფინანსური ინსტრუმენტები“
12. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მიღებული 2010წელს;
13. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურის აფუძვლები - IFRS Foundation.
14. სს „თელიანი ველი და შვილობილი კომპანიები“ ფინანსური ანგარიშგება 2014-2015წ, 2016-2017წ.
15. Крылов С.И. - финансовый анализ, Издательство Уральского университета, ЕКАТЕРИНБУРГ 2016.

16. Котова Н.Н, Кухаренко С.И- финансовый анализ, Издательский центр ЮургУ, 2013.
17. Файдушенко В. А. - финансовый анализ: теория и практика, издательство ХГТУ , Хабаровск 2013.
18. www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=713
19. <http://www.auditgroup.ge/page.php?id=35>
20. <https://www.coursehero.com>
21. <https://www.accountingcoach.com/blog/vertical-analysis-horizontal-analysis>
22. https://www.medgeo.net/2012/02/20/finansuri_analizi-4/
23. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33346>
24. http://www.rs.ge/Default.aspx?sec_id=4733&lang=1
25. <http://www.auditgroup.ge/page.php?id=44>
26. http://www.economicportal.ru/ponyatiya-all/altman_z_model.html